საქართველოს სოციალდემოკრატიული მუშათა პარტია!

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ხუთშაბათი 23 იანვარი 1919 წ.

# ერთობა

ფასი 50 კაპ.

გაზ. ი ფასი: 1 თვით 12 მანეთი ცალკე ნომერი ... 50 კაპ. განცხადებების ფასი, როგორც პირველ გვერდზე, ისე მეოთხეზე, პეტიტის სტრიქონი—1 მან. სამგლოვიარო განცხადება 20 მან. საჩქარო განცხადება უნდა მოიტანილ იქნას არა უგვიანეს დილის 12 ს. ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავ ხელნაწერებს რედაქცია არ ინახავს, ავტორებს უკან ვერ დაუბრუნებს და ამის შესახებ არავ მიწერ-მოწერას აწარმოებს.

რედაქცია და კანტორა: თფილისი, ... № 199 გაზ. „ერთობის“ რედაქცია. სხვა ... რედაქცია ... 10—12 საათამდე. რედაქცია ... თფილისი, ... № 24

ტელეფონი 16—62.

№ 17 ორგანო საქართველოს სოციალდემოკრატიული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტისა. № 17

ქართველ მსახიობთა კავშირის საბჭო გულითადის მწუხარებით აცხადებს, რომ გარდაიცვალა თვალსაჩინო მსახიობი და კავშირის წევრი

ვალერიან შალიკაშვილი

დაკრძალვა მოხდება ხუთშაბათს, 23 იანვარს გურიაში, ს. აკეთს მაცხოვრის ეკლესიის სასაფლაოზე. ქ. თფილისს კი იმავე დღეს დანიშნულია პანაშვიდი ქაშვეთის ეკლესიაში ნაშუადღევის 2 საათზე. (2—2).

გულდათუთქული მშობლები ეფრემ და ლისა, ძმები: დარისპან და დათიკო, დები: მელანია, ელპიტე, მაშო, ნატაშა და ლიდა, რძლები: ნატაშა და ნინიჩკა და შვილი თამარა ქლენტები მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და მეგობრებს, რომ ორი კვირის ავადმყოფობის შემდეგ, ათ იანვარს ქალაქ ბაქოში გარდაიცვალა პირველის საყვარელი შვილი, მეორეს ძვირფასი ძმა, მესამეს მაზლი და უკანასკნელის ძვირფასი მამა

მელქისედეკ ეფრემის ძე ქლენტი

რომელიც დაკრძალულ იქნა ბაქოშივე 11 იანვარს. (3—3)

გულდამწვარნი ძმა ვარლამი, რძალი ავრაფინე და ელენე, ძმები: გიორგი და იორდანე აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ ძვირფასი

კოლა ფარნაოზის ძე ჩარგეიშვილის

გარდაცვალებას. გამოსვენება მოხდება კვირას დილის 10 საათ. საკუთარი ბინიდან (ორთაჭალაში). მიცვალებულს წაასვენებენ ნიკოლოზის ეკლესიაში, ხოლო იქიდან პეტრე პავლეს სასაფლაოზე. (2—1)

გაზეთ „ერთობის“ ასოთ-ამწყობნი აუწყებენ თავიანთ ამხანაგ-მეგობრებს, რომ 22 იანვარს ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ამავე გაზეთის ასოთ-ამწყობი

გიორგი მიქაუტაძე

ფინანსთა სამინისტროსაგან

ფულის ტრიალის გასაადვილებლად და სახელმწიფოს არაჩვეულებრივი ხარჯების დასაკმაყოფილებლად, თანახმად საქართველოს პარლამენტის დადგენილებისა, რესპუბლიკის მთავრობა სცემს 50.000.000 მანეთის 5 პროც. მოკლე ვადიან სახელმწიფო ხაზინის ვალდებულებათ 1 წლის ვადით (ესე იგი 1 იანვრამდი 1920 წლ.).

ვალდებულება უსახელოა და დაყოფილია შემდეგ კუპიურებათ: 5.000 მ., 1.000 მან., 500 მან., 100 მან. და 25 მან.

თუ მსურველნი აღმოჩნდნენ, უსახელო ვალდებულებანი 5.000 მან. და 1.000 მანეთიანები შეიძლება გადაკეთდეს სახელობითი ვალდებულებათ, რაიცა უნდა ჩაიწეროს თფილისის ხაზინის დავთრებში.

ალნიშნულ ვალდებულებათა სარგებელი განთავისუფლებულია სახელმწიფო გადასახადისაგან.

ვალდებულება მიიღება ხაზინაში ყოველივე ფულოვანი დასაფარავად და აგრეთვე საწინდარათაც.

ვალდებულების შეძენა შეიძლება მხოლოდ ნაღდ ფულათ.

ვალდებულებათა შეძენა შეიძლება 15 იანვრიდან სახელმწიფო ბანკში, რესპუბლიკის ყველა ხაზინებში, კერძო ბანკებში და საკრედიტო კოოპერატივებში. 10-3

## ნაციონალიზაცია

საქართველოს დამოუკიდებელ რესპუბლიკათ გამოცხადებამ გამოიწვია საჭიროება საკუთარ სახელმწიფოებრივ აპარატის შექმნისა. ამ აპარატში კი მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ენას.

ჩვენ, ნაციონალისტების მსგავსათ, არ ვქმნით ენის კულტს, ენა, ჩვენის შეხედულებით, მხოლოდ საშუალებაა ადამიანთა შორის ურთიერთობის საწარმოებლათ, ცხოვრების მოსაწყობათ, კულტურის განსავითარებლათ.

ამ თვალსაზრისით ვუყურებთ ჩვენ სახელმწიფო ენასაც. სახელმწიფო ენა—ეს არის ენა მთავრობის და მისი ორგანოების, რომ ხალხთან კავშირი დაიჭირონ და საჭირო ზომები ცხოვრებაში გაატარონ. ენა იმდენათ არ ესაჭიროება მთავრობას და მის აგენტებს, რამდენადაც ხალხს, რადგან მთავრობის აგენტები უკიდურეს შემთხვევაში ნასწავლი პირებია და საშუალება აქვთ რამდენიმე ენა შეისწავლონ, ხოლო ხალხი, დემოკრატია მოკლებულია ამ საშუალებას.

მხოლოდ ამ მოსაზრებით მოვითხოვთ ჩვენ, რომ განახლებულ საქართველოში მართველობის აპარატიც განახლდეს, რათა ამ გზით მთავრობა და მისი ორგანოები დაუახლოვდნენ ხალხს, რაც შეუძლებელია ხალხის ენის არ ცოდნის დროს. ასე გვესმის ჩვენ ნაციონალიზაცია.

მაგრამ ასე არ ესმით ეს საკითხი ჩვენს მოწინააღმდეგეთ, რომელნიც დღიდან ჩვენი დამოუკიდებლობის გამოცხადებისა სასტიკათ გვებრძვიან და ნაციონალისტების სახელითაც კი გვნათლავენ. მერე ვინ გვიკიჟინებს ნაციონალისტობას? სწორედ ისინი, ვინც აქ ათეულ წლობით განმავლობაში ცხოვრობდნენ და სხვადასხვა საპასუხისმგებლო ადგილები ეჭირათ, მაგრამ მიუხედავათ ამისა ერთხელაც არ უფიქრიათ ადგილობრივ ხალხის ენის და ზნე ჩვეულებების შესწავლა. „ლისტოკი“, „ზაკავკაზსკოე სლოვო“, საოცრებათ რუსული „სოციალ დემოკრატი“ და არალეგალური „ზნამია“—ყველანი შეერთდნენ ნაციონალიზაციის წინააღმდეგ და ბრძოლას აწარმოებენ დემოკრატიზმის სახელით.

რაშია საქმე?

ვინ არ იცის, რომ საქართველოს მოქალაქეთა დიდს უმრავლესობას ისეთი ხალხი შეადგენს, რომელმაც მხოლოდ ქართული ენა იცის და ამიტომ ქართული ენის სახელმწიფო ენათ გამოცხადება და მისი ხმარებაში შემოტანა—უაღრესად დემოკრატიული ზომაა.

მაგრამ ჩვენმა პარლამენტმა არ დაივიწყა არც ეროვნულ უმცირესობათა უფლებები და რამდენათაც კი შესაძლებელია ეს, უზრუნველჰყო მათი ინტერესებიც. ამიტომ ჩვენი კანონით მომრიგებელ მოსამართლეთა შესახებ ქაღალდების მიცემა და თარჯიმნების უფასოთ მიღება შეიძლება ყველა იმ ადგილებში, სადაც კი ეროვნული უმცირესობა შეადგენს მცხოვრებთა ცოტათ თუ ბევრათ საგრძნობ ნაწილს, ხოლო იქ, სადაც ქართულის არა მცოდნენი უმრავლესობას შეადგენენ, საქმის წარმოება უნდა ხდებოდეს სახელმწიფო ენასთან ერთად უმრავლესობის ენაზედაც. ბატონი ჩვენი კანონი და თუ ვისმეს აქვს საშუალება, რომ საქართველოში, სადაც მრავალი წვრილი ერები ცხოვრობს, შექმნას ისეთი აპარატი, რომელიც ყველა ამ ენებზე იწარმოებს, რატომ ამას არ გვეუბნებიან. და მართლაც, განა შეიძლება საქართველოში თანასწორათ იხმარებოდეს ქართული, სომხური, რუსული, თათრული, ოსური, ბერძნული, გერმანული, სვანური, ლეკური და სხვა ეროვნებათა ენები, რომელნიც გაფანტულნი არიან ჩვენს დაბა ქალაქებში და სოფლებში?

მაგრამ საქმეც ის არის, რომ ისინი, რომელნიც ნაციონალიზაციის წინააღმდეგ მიდიან, სრულაც არ ზრუნავენ ხალხის ენის შემოღებაზე. პირიქით, გადაიკითხეთ თქვენ „ზაკავკაზსკოე სლოვო“ და „ტიფლისკი ლისტოკი“, დაუკვირდით ამ ორგანოების არგუმენტაციას: საქართველოში რუსული კანონები კიდევ მოქმედებენ, ქართული ტერმინოლოგია არ არის შექმნილი და სხვ. ასეთი და თქვენთვის ცხადი იქნება, თუ ვინ ლაპარაკობს ნაციონალიზაციის წინააღმდეგ დემოკრატიზმის სახელით: ესენი ბძანდებიან რუსი ჩინოვნიკები, რომელთაც ამ ბოლო დროს გვერდში ამოუდგნენ „თავისუფალ პროფესიის“ წარმომადგენლები—რუსი და სომეხი ადვოკატები. ენის უცოდინარობის გამო ისინი დიან რომ „თავისუფლდებიან“ თავისუფალ პროფესიიდან. ეს არის მათი გულის ტკივილი. მაგრამ რა შუაშია აქ დემოკრატიზმი და დემოკრატია, რა შუაშია ეროვნულ უმცირესობათა ინტერესები. ინტელიგენტებმა, რომ რუსულათ სწერიან და ილაპარაკონ, მთავრობამ, რომ ეს ენა დასტოვოს ხმარებაში, რა შეეძინება ამით სომხებს და მუსულმანებს, ბერძნებს ან ოსებს და გერმანელებს.

ცხადია ნაციონალიზაციის წინააღმდეგ ატეხილი განგაში—ეს მორიგი პროვოკაციაა, ეს თავხედობაა იმ ჯგუფების, რომელნიც დღემდის კისერზე ასხდნენ ხალხს და ბატონობაზე ხელის აღებას კიდევ ღდარ ფიქრობენ.

მაგრამ დემოკრატიამ მათს ფეხის ხმას არ აყვება და ეტყვის: დიახ, მკვდრებმა თვითონ თავს თავიანთ მკვდრების დასაფლავება. ხალხი სიცოცხლეს და გასაქანს ითხოვს!

## პრესა

ჩვენ „ნორჩ“ ბურჟუაზიის უღდეურ წარმომადგენლებს ძალიან დიდი სურვილი აქვთ თავის „განსაკუთრებული“ სახელმწიფოებრივი ნიჭი გამოიჩინონ. მაგრამ ფუნჯობს კი იჩენენ. აი მაგ. „საქართველო“ № 16 ამა წლისა მეთაურში სწერს:

„მხოლოდ ჩვენი გლეხობის შეგნებულმა და მიზანშეწონილმა წინააღმდეგობამ აიძულა სოციალისტები ხელი აეღოთ თავიანთ განზრახვის განხორციელებაზე და მიეღოთ ეროვნულ დემოკრატიის მიერ დაჟინებით ნაქადაგევი პრინციპი მიწის გლეხებზე კერძო საკუთრებათ გადაცემისა“.

„საქართველომ“, რასაკვირველია, უნდა იცოდეს, მაგრამ არ იცის კი, რომ ეროვნულ დემოკრატების გაჩენამდე გვქონდა ჩვენ პროგრამაში აღიარებული შესაძლებლობა მიწის კერძო საკუთრებათ გადაცემისა. ეს ჩვენ ვაღიარეთ 1906 წელს, როცა ეროვნულ დემოკრატების ხსენებაც კი არსად იყო საქართველოში. საიდან და როგორ შეეძლოთ მათ ეს ჩვენთვის მოეხვიათ თავზე?

შემდეგ გაზეთი განაგრძობს.

„ქვეყნის მართვა-გამგეობა სოციალისტურმა მიმართულებამ დაისაკუთრა და ამით დაიბადა საერთო უკმაყოფილება ფართო დემოკრატიულ წრეებში, რომელიც არ იზიარებს სოციალისტურ მრწამს“.

ნეტავი, რომელია ეს ფართო დემოკრატიული წრეები? ალბათ ვაჭარ-სპეკულიანტების, რომელთაც ეკრდნობიან ნაც. დემოკრატები. მაგრამ ნამდვილი დემოკრატია პირიქით მთელი თავის არსებით მიჰყვება სწორედ სოციალდემოკრატიას. წინააღმდეგის მტკიცებით გაზეთი მხოლოდ ატყუებს თავის თავს.

პოლიტიკურ სფეროში გაზეთი ეხსრობა კოალიციას მთავრობაში. ამ გაზეთს ავიწყდება, რომ ეროვნულ-დემოკრატია ერთად ერთი პარტია იყო, რომელიც მთავრობიდან გაიქცა და უპასუხისმგებლო ოპოზიციის როლში ჩადგა.

ამ ოპოზიციონერობის გამო მათ თავის წრიდანაც კი გააძევეს უკვე მთავრობაში შესული წევრი მათი პარტიისა. მაშასადამე კოალიციას არღვევდა სწორედ ეს პარტია. მართალია იგი მოითხოვდა სხვაგვარ კოალიციას, ისეთს, რომ ნაციონალ-დემოკრატებს იმდენი ხმა და გავლენა ჰქონოდა, რამდენიც სოციალისტებს, ე. ი. ერთი მეასედი უნდა გათანასწორებოდა ერის დანარჩენ ნაწილს.

ნურას უკაცრავათ, თუ ასეთ კოალიციას ჩვენ ვერც შემდეგში გავიზიარებთ.

ჩვენ გვინდა სახელმწიფო მართველობა იყოს ხალხის ხელში, ე. ი. მისი ცხრა მეათედის ხელში და არა ერთი მუჭისა. და კოალიციასაც მხოლოდ ისეთს დაუჭერთ მხარს, რომელიც ამ ცხრა მეათედ ინტერესებს არ შებღალავს.

მუშებო! ყველგან მუშათა კავშირებს დევნიდენ და ავიწროებდენ. სოციალ-დემოკრატიამ დაამყარა საქართველოში მუშათა კავშირების სრული თავისუფლება და უზრუნველყო შრომის დაცვა.

ხმა მიეცით მუშათა პარტიის სიას № 1.

## ჩვენი მდგომარეობა*)

ერის თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის საკმარისი არ არის ამ დამოუკიდებლობის გამოცხადება: საჭიროა მისი განმტკიცება შიგნიდან და გარედან. შინაგანი განმტკიცებისათვის საჭიროა, რომ დამოუკიდებელი ერის ცხოვრება სახელმწიფოებრივ ფორმებში ჩამოყალიბდეს და სამართალს დაექვემდებაროს.

გარეგანი სიმტკიცე კი იმაში მდგომარეობს, რომ დიდმა სახელმწიფოებმა მისი დამოუკიდებლობა იცნან, ორივე ეს მეტად ძნელი განსახორციელებელია ყოველგვარ პირობებში, მით უმეტეს ისეთ პირობებში, როგორშიაც ჩვენი დამოუკიდებლობა წარმოიშვა.

ჩვენი დამოუკიდებლობა დაიბადა რევოლიუციის ტალღებში, როდესაც ყოველივე ძველი და დროს გადასული ინგრეოდა და ისპობოდა. ჯერ გარეგანი მშვიდობიანობის დროსაც რევოლიუციის ქარიშხალი ისეთ არევ დარევას იწვევს, ისე ძირიან ფესვიანათ ატრიალებს ცხოვრებას, რომ აღმაშენებლობითი მუშაობა მეტად ძნელია. ამიტომ არის, რომ რევოლიუცია შედარებით ადვილათ ანგრევს, რაც დასანგრევია, მაგრამ ხშირად მარცხდება. სწორედ იქ, სადაც აშენებაა საჭირო. არ უნდა დავივიწყოთ, რომ ჩვენი დამოუკიდებლობა დაიბადა ომის ხანაში.

ომიანობა კი თავის თავათ, ურევოლიუციოთაც, იწვევს საშინელ არევ დარევას ცხოვრებაში.

დამოუკიდებლობის პირველ დღიდანვე ჩვენი ქვეყნის წინაშე აღიმართა ორი დიდი საფრთხე: ოსმალეთის შემოსევა და ბოლშევიკური აჯანყებები. ყოველივე ეს, რომ ოდნავათ გავითვალისწინოთ, მაშინ ცხადი იქნება ჩვენთვის, რა საშინელ პირობებში მოუხდა ჩვენს პარტიას დამოუკიდებელი საქართველოს ბედის გამოჭედვა.

წარმოუდგენელი სიმძიმე ამ საქმისა, მეტად დიდი დაბრკოლებანი სხვას ყველას სასოწარკვეთილებაში ჩააგდებდა.

არ უნდა დავივიწყოთ, რომ ჩვენს დამოუკიდებლობას შიგნითვე გამოუჩნდა ბევრი მტერი რუსის მოხელეებისა და სომხის ბურჟუაზიის სახით. ესენი ყოველგვარ ღონეს ხმარობდენ, რომ საქართველოს დამოუკიდებლობისათვის კისერი მოეტეხნენბიათ.

ასეთ პირობებში დიდი გმირობა, დიდი თავგანწირვა იყო ქვეყნის სათავეში ჩადგომა და მასთან მეტად მძიმე პასუხისმგებლობა ისტორიის წინაშე.

მაგრამ ჩვენი დემოკრატია მტკიცე გამოდგა და ჩვენი ბელადები მისი სწორუპოვარი მეთაურები, ჩვენი პარტია მისი იშვიათი მედროშე.

შეცდომებიო, გაიგონებთ ზოგჯერ აქეთიქიდან.

შეცდომები კი არ არის გასაკვირალი,—ასეთ დროს ღმერთიც კი შეცდება,—გასაოცარი ის არის, რომ ჩვენი პარტია არ დაიღუპა და თან არ ჩაიტანა ჩვენი ქვეყანაც.

ზერელათ მოაზროვნე პირებისაგან ხშირათ გაიგონებთ: ღმერთი გვწყალობს, სხვანაირ ბედზე ვართ დაბადებულიო.

ჩვენი გადარჩენა ამათ სასწაულათ მიაჩნიათ; ხოლო პირუთვნელი მკვლევარი იტყვის, რომ ეს სასწაული მოახდინა ჩვენის პარტიის სწორმა პოლიტიკამ.

პარტიამ თავიდანვე აუღო ალღო ისტორიულ მოვლენათა განვითარებას და გამონახა ჭეშმარიტი გზა, რომლის შეწყნობითაც ჩვენი ნორჩი რესპუბლიკა გადაარჩინა ურიცხვ საფრთხეს, დაბრკოლებას, სხვადასხვა საშიშროებასა და სრულ განადგურებას.

მარტო ამ ათასგვარ დაბრკოლებათა გადალახვაც მეტათ დიდი საქმე იყო, სხვაც რომ არაფერი გაეკეთებიათ ჩვენს ბელადებს, მაგრამ ისინი ამითი არ დაკმაყოფილდენ:

მათი მეთაურობით ჩვენმა დემოკრატიამ შექმნა ნამდვილი პარლამენტი და ამ პარლამენტმა შედარებით მოკლე ხნის განმავლობაში ძალიან ბევრი რამ გააკეთა, გაატარა ცხოვრებაში საგულისხმო რეფორმები და დაამზადა მომავალ დამფუძნებელ კრებას დიდძალი მასალა.

ჩვენი პარტია და მისი ბელადების თავგანწირული მუშაობის წყალობით დღეს ჩვენი ქვეყანა ერთად ერთი დემოკრატიული რესპუბლიკაა ვეებერთელა რუსეთის ნანგრევებზე.

და როდესაც ჩვენ ვხედავთ, რომ ამოდენა რუსეთში ვერსად ვერავინ ვერ შესძლო ის, რაც ჩვენმა მეთაურებმა შესძლეს, ნეტარების გრძნობით ევსება გული და უფლება გვაქვს, ამაყათ შევსძახოთ ყველას: ქუდები მოიხადეთ ჩვენი ბელადების წინაშეო.

ჩვენი დამოუკიდებლობის დადასტურებაში უკანასკნელი სიტყვა ევროპას ეკუთვნის. თუ მან არ იცნო ჩვენი დამოუკიდებლობა, ჩვენ არ შეგვწევს ფიზიკური ძალა, რომ მან ეს ძალათ ვაცნობიოთ.

მაგრამ ჩვენს ხელთ თავიდანვე იყო ზნეობრივი ძალა.

და ჩვენი ბელადებიც სწორეთ ამ ძალას დაეყრდნენ.

ამაშია მათი ერთი დიდი ნიჭი, გამჭრიახობა და შორსმჭვრეტელობა, თუ ევროპას დავარწმუნეთ, დავუმტკიცეთ, რომ ჩვენ შეგვიძლია დამოუკიდებლობის გვირგვინის ღირსეულათ ტარება, ევროპა ჩვენ უარს ვერ გვეტყვის.

როგორ, რა გზით შეგვეძლო ევროპის წინაშე ამისი დამტკიცება?

შინაური მშვიდობიანობითა და წეს რიგით, მეზობელ ერებთან სოლიდარობისა და თანხმობის განმტკიცებით და ევროპასთან კავშირით.

ამ უკანასკნელ პირობას მეტათ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ევროპა დაყოფილი იყო სხვადასხვა მებრძოლ სახელმწიფოებათ, ვის უნდა მივკედლებოდით ჩვენ, ვისი მხარე უნდა დაგვეჭირა? ეს კითხვა მეტათ ძნელი გადასაწყვეტი იყო ჩვენი დამოუკიდებლობის პირველ დღეებში, როდესაც ყველგან გამარჯვებული გერმანიის დროშა ფრიალებდა. ბევრისათვის ცხადზე ცხადი იყო, რომ ჩვენ გერმანიის მხარე უნდა დაგვეჭირა.

მაგრამ ჩვენმა პარტიამ გამოაცხადა საქართველოს ნეიტრალობა და ეს იყო ერთი უდიდესი აქტი, რომლის ნაყოფსაც მხოლოდ დღეს ვკრეფთ ჩვენ. შინაურ ცხოვრებაში ჩვენ ჩამოვაგდეთ მშვიდობიანობა, ვამყარებდით წესრიგს, სამართალს და კანონიერებას. მეზობლებთან თუ როგორ ვცდილობდით თანხმობასა და სოლიდარობას, ეს ნათლად დაანახვა ყველას კაჩაზნუნის მთავრობის თანდასხმამ.

ჩვენ მთავრობას მოეძებნება საკმაო საბუთები იმის დასამტკიცებლათ, თუ რა ურთიერთობას აწყარებდა ის მეზობლებთან და ვინ იყო ამის ხელის შემშლელი და ჩამშლელი.

ერთი უტყუარი საბუთი კი, რომელმაც უკვე მოიტანა თავისი შედეგები, ის არის, რომ ინგლისელებისა და ფრანგების წინადადებით ჩვენ შევწყვიტეთ ომი, თუმცა დამარცხებული მტერი გარბოდა და ჩვენი ძლევამოსილი ჯარი კვალდაკვალ მისდევდა მას.

ჩვენი ბელადები, როგორც შინ, ისე მეზობლებთან, აგრეთვე ევროპასთან მიდიოდნენ და მიდიან აშკარა, პირდაპირი და სწორი დემოკრატიული გზით.

*) იხ. „ერთობა“ № 16.

# დღეს

**ახალციხის მაზრაში ოსმალთა აგენტების და ადგილობრივი ბეგების მეთაურობით ფოცხოვის რაიონიდან შემოჭრილი „ბანდები“ ჩვენმა ჯარმა დაამარცხა და გარეკა.**

—

**ხოხუმში აღმოჩენილ იქნა მონარქისტული ორგანიზაცია, რომლის მეთაურები შეიპყრეს და გაძევებულ იქნენ.**

—

**ინგლისის მაღაროს მუშები 6 საათის სამუშაო დროს მოითხოვენ, უკეთუ მთავრობა არ დააკმაყოფილებს ამ მოთხოვნას, თვით მუშები განახორციელებენ მას.**

—

**ეროვნული კრების არჩევნები 19 იანვარს ბერლინში წესიერად ჩატარდა.**

—

**ტარნოპოლის რაიონში (გალიცია) უკრაინელებსა და პოლონელებს შორის ბრძოლაა.**

---

ამას კი შედეგათ მოჰყვა ის, რომ დიდი ბრიტანეთი უკვე დიდის თანაგრძნობით ეკიდება ჩვენს დამოუკიდებლობას და მსოფლიო კონგრესზე მის დაცვას გვპირდება.

ეს არის ჩვენი პარტიის და მისი ბელადების ერთი უდიდესი გამარჯვება. მე ვერ ვიტყვი, რომ ჩვენი ბელადები იყონ გამოჭახრაკებული დიპლომატები. ამიტომაც ასეთ გამარჯვებას ვერ მივაწერ მათს დიპლომატობას. მაგრამ ჩვენი ბელადები არიან დიდი და გამოცდილი დემოკრატები და აი ამითი იმარჯვებენ ისინი, როგორც შინ, აგრეთვე გარეთაც. დღეს ჩვენ თამამათ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ჩვენი დემოკრატიული რესპუბლიკა განმტკიცებულია, როგორც შიგნით, ისე გარეთ. მხოლოდ ფორმალურ მხარეს უნდა შესრულება და ამასაც შეასრულებს საერთაშორისო კონგრესი.

ჩვენმა დემოკრატიამ და მისმა ბელადებმა დაამტკიცეს, რომ მათთვის არ არსებობს არავითარი დაბრკოლება, რომ მათთვის შეუძლებელი არაფერია. როდესაც მსოფლიო ამობორქებული ცხოვრება დაწყნარდება და თავის კალაპოტში ჩადგება, მაშინ ჩვენი რესპუბლიკის განვითარებაც მეტად სწრაფის ნაბიჯით გასწევს წინ.

ანარქიის, რევოლიუციის, სამოქალაქო ომიანობის ზვირთებში ჩვენმა პარტიამ და მისმა ბელადებმა მშვიდობიანათ გამოიყვანეს ჩვენი ცხოვრების გემი და აგერ აგერ სამშვიდობოზე გამოვიდეთ.

მათ თვალწინ იშლება უკვე ფართო და საუცხოვო ასპარეზი ჩვენი დემოკრატიული რესპუბლიკის ასაყვავებლათ.

და მე მრწამს, რომ ჩვენი რესპუბლიკა ჩვენი პარტიის და ბელადების მეთაურობით სულ მალე გადაიქცევა მაგალითად მარტო ახლო მეზობლებისათვის კი არა, არამედ შორეულთათვისაც.

**ივ. გომართელი.**

# პარლამენტის დღიური

**II.**

საღამოს სხდომაზე პირველი სიტყვა აიღო მიწათ-მოქმედების მინისტრმა ნ. გ. ხომერიკმა. ის დალაგებით, დამშვიდებით, უტყუარი დებულებით და ციფრებით ასაბუთებს კანონპროექტს. მისი თვალსაზრისი—ეს არის თვალსაზრისი სახელმწიფოებრივი; შეგნებული ნაბიჯი—შეგნებული და პასუხისმგებელი მოღვაწისა. მან იცის, თუ რა მდგომარეობაშია ჩვენი სახელმწიფო; მან იცის გლეხების სულისკვეთება; ის დგას რეალურ პოლიტიკაზე და აქ ის ურყეველი და მტკიცეა. ის არ ცდილობს სადემაგოგიოთ გამოიყენოს ჩვენი ქვეყნის უმწეო მდგომარეობა. ის გვერდს უვლის ყველა იმ დაბალ ხარისხის დემაგოგიას, რომელიც ასე უხვათ იპნევა ამ კანონპროექტის გარშემო. ზეპირ განცხადებას, უადგილო ციტატებს ის წინ უყენებს ცხოვრების სინამდვილეს და უტყუარ ფაქტიურ მასალას. ამიტომაც იყო, რომ მოწინააღმდეგენიც კი ასე გულდასმით უსმენდენ მთელი ორი საათის განმავლობაში.

მინისტრის შემდეგ ტრიბუნას იჭერს დეპ. ლ. ნათაძე. მან მიზნათ დაისახა იმ ყალბათ მოყვანილი ციტატების დარღვევა, რომლითაც ასე მოურიდებლათ სარგებლობდენ აგრარული სოციალიზმის მოციქულები და რამდენათ ის მიზანს აღწევდა, იმდენათ სოციალიზატორებს მოთმინება ეკარგებოდა და ჩიჩქოლით და უხეირო რეპლიკებით სულიერი სიმშვიდის დარღვევის დაფარვას ლამობდენ...

შემდეგი სხდომა დაიწყო ვოდევილით. ფარდა გახსნა სოციალისტ-რევოლიუციონერების ორატორმა ბ. ნუცუბიძემ. ესერებმა ის გამოუშვეს ტრიბუნაზე, როგორც მებრძოლი ორატორი. ბ. ნუცუბიძის სიცოდვე ქვასაც კი აატირებდა. არიან ორატორები, რომლებიც ცუდათ ლაპარაკობენ გარეგნულათ, მაგრამ შინაარსით რამდენიმეთ მაინც იპყრობს თქვენ ყურადღებას. ბ. ნუცუბიძეს არც ერთი აქვს და არც მეორე. სამაგიეროთ მას ტოლი არ ჰყავს „ამერიკის აღმოჩენაში“. ამ მხრით ის ნამდვილი კოლუმბია. მან აღმოაჩინა, რომ ესდეკები და ნაციონალ დემოკრატები ერთი და იგივეა. ერთს უჭირავს პარლამენტში მარჯვენა ფრთა, მეორეს—მარცხენა. შუაზე კი მომწყვდეულია სოციალისტები (ეს ერები და ეს ფერები!) და მათ ორივე მხრიდან ესხმიან. მეორე აღმოჩენა კი მაშინ მოხდა, როცა მან განაცხადა: რქვენი აგრარული რეფორმა არც კაპიტალიზმია, არც სოციალიზმიო. ხოლო, როცა შეეკითხნენ—აბა რა არისო—ისეთი რაღაც ღრმა აზრები გამოსთქვა, რომ მ. მაჩაბელმა განცვიფრებით წამოიძახა: ბიჭო! ეს რა ფილოსოფოსი ყოფილა! სად იყო ამდენ ხანსო?!

განსაკუთრებით შეუდარებელი იყო ის, როცა ლაპარაკი დაიწყო „გლეხის ქისაზე“. „საბრალო და საწყალი გლეხი! ცისთვის არ შეუხედია, მიწაზე არ დაუხედავს, წელში არ გამართულა, მოსვენება არ იცის რაა, სადღაც ორი გროში უშოვია და ახლა უნდათ ისიც ამოაცალონ ჯიბიდანო“ და ისე გაიტაცა ამ ბელეტრისტიკამ, რომ პარლამენტს პირი აბრუნა, გაჰყურებდა სადღაც, შორს, სივრცეში და პარლამენტის მიერ აბუჩათ აგდებული „ზღვას და ხმელს“ შესჩიოდა იმ საშინელებაზე, რომელსაც თურმე უმზადებს ჩვენს გლეხკაცობას სოციალდემოკრატია. მაგრამ ჩვენი გლეხობა არც ისე შეუგნებელია, რომ ესერების სათამაშოთ გახდეს.

მან კარგათ იცის ვინ არის სოციალდემოკრატია და ვერავითარი რევერანსებით და „უფასო საჩუქრებით“ ვერ მოინადირებენ ჩვენი გზა-აბნეული სოციალისტები მის გულს. ჩვენ გვჯერა, რომ ამ დემაგოგიით ვერც ამ არჩევნებში გაივლენ ფონს და ახლაც იარაღ-აყრილნი დაბრუნდებიან შინ...

ბ. ნუცუბიძის შემდეგ აღსანიშნავია ბ. ვეშაპელი. ბ. ვეშაპელის სიტყვა—ეს იყო უკანასკნელი გამოსათხოვარი სიტყვა. ის მდუღარე ცრემლით მოსთქვამდა თავად აზნაურობის „უკუღმართ ბედზე“ და რადგან ამ კანონპროექტით უკანასკნელი ლურსმანი ეჭედება მემამულეთა იმედებს მიწების დაბრუნების შესახებ, არც კი უნდა გაგვიკვირდეს, თუ ასე გულდათუთქული მოსთქვამდა ჩვენი აგრარიების ვექილი გაფრენილ „ლურჯ ჩიტზე“.

აღსანიშნავია, რომ არც ერთი ოპონენტი არ ლაპარაკობს არსებითად კანონ პროექტზე. ყველა ცდილობს გამოიყენოს კანონ პროექტი სოც.-დემ. პარტიულ ანგარიშების გასასწორებლათ. ალბათ—ეს დასაწყისია საარჩევნო კამპანიის, მაგრამ, ვეჭვობ, რომ ასეთმა გამოსვლებმა მათ რამე შესძინოს...

**განი.**

# საქართველოს პარლამენტი

**19 იანვრის სხდომა.**

თავმჯდომარეობს ექ. თაყაიშვილი.

გაგრძელება მსჯელობისა აგრარულ რეფორმის შესახებ.

**ნ. ხომერიკი** (მიწ. მოქ. მინ.). ბატონებო! მიწის საკითხი უდიდეს სოციალურ კითხვას შეადგენს. ამ საკითხში, როგორც ფოკუსში, თავს იყრის მთელი საზოგადოების ინტერესები. აქ ხვდებიან სხვადასხვა ჯგუფები და აქედან იყო მათი გზაც. დემოკრატია მუდამ წინ აყენებდა ამ საკითხს და ცდილობდა მის გადაწყვეტას. ძველი მთავრობა ყოველთვის გაურბოდა ამ საკითხის გადაჭრას და პირველი სახელმწიფო სათათბიროც სწორეთ მიწის საკითხის წამოყენების გამო გარეკეს. ამავე საკითხის გამო გაირეკა მეორე სათათბირო და მაშინ მოხდა სახელმწიფო გადატრიალებაც, შეიცვალა საარჩევნო კანონი ისე, რომ მებატონეთა ინტერესები სავსებით დაცულ ყოფილიყო. მარტის რევოლიუციის დროს ეს კითხვა პირველ დღიდანვე ხელმძღვანელმა წრეებმა დღის წესრიგში დააყენეს. მაგრამ სამწუხაროთ აქ იქნა დაშვებული ერთი დიდი შეცდომა. აგრარულ საკითხის გადაჭრა დაუკავშირეს დამფუძნებელ კრებას, რომლის მოწვევაც ძლიერ გაჭიანურდა. იგი ვერ შეიკრიბა მოკლე დროში, მიწის საკითხი კი დაცდას არ მოითხოვდა. ბევრ ადგილას მიწის საკითხის გადაჭრას თვით გლეხები შეეცადნენ. ამ ნიადაგზე აღმოცენდა ექსცესები, რამაც ნიადაგი მოუპოვა ანარქიას. როცა გამოირკვა, რომ დამფუძნებელი კრება არ იქნებოდა დროზე მოწვეული, ჩვენი დემოკრატია შეეცადა ეს კითხვა დღის წესრიგში დაესვა. რუსეთში გაიმარჯვა ბოლშევიზმმა, დაირღვა მთლიანი დემოკრატიული ფრონტი, ჩვენ ჩამოვშორდით რუსეთს ჯერ ამიერ-კავკასიის სახით, მერე კი საქართველოს სახით. საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებამდე ამიერ-კავკასიის კომისარიატმა შეიმუშავა დეკრეტი მიწის საკითხის შესახებ, მაგრამ ეს დეკრეტი არ იყო განსაზღვრულ ფორმაში ჩამოყალიბებული. სეიმმა ეს საკითხი პრაქტიკულ ნიადაგზე დააყენა. მიწად-მოქმედების სამინისტროს ამ კანონის განხორციელების დროს ბევრი დაბრკოლებანი შეხვდა წინ. ამ კანონის განხორციელების დროს, თქვენ იცით, სოფლათ ანარქია მძვინვარებდა (მაჩაბელი: ეს მიწის კანონმა გამოიწვია). ჩვენ ვიცით, რომ სწორეთ სეიმის მიერ 7 მარტის კანონის გამოცემამდე სოფლად მძვინვარებდა ანარქია, ჰქონდა ადგილი მემამულეთა ოჯახების განადგურებას და როდესაც მემამულეთ მიწები ჩამოერთვათ და გლეხები დარწმუნდნენ, რომ მიწის საკითხი გადიჭრებოდა მათ სასარგებლოთ—სოფელიც დაწყნარდა. მიწების ჩამორთმევით აგრარული საკითხი ვერ გადასწყდება. საჭირო იყო გამოგვერკვია ბედი ჩამორთმეულ მიწებისა, უნდა გამოგვერკვია, რაგვარი ფორმა მიწადმფლობელობისა დამყარდებოდა.

სეიმის მიერ გამოცემული კანონი ცალმხრივი იყო. საჭირო შეიქნა სტატისტიკური მასალების შეკრება, კითხვის ყოველი მხრივ შესწავლა და გამორკვევა. და როდესაც მუშაობის დროს პირისპირ შევხვდით გლეხკაცობას, აშკარა შეიქნა ჩვენთვის, რომ მიწის საკითხის გადაუჭრელობა შეუძლებელი იყო და უნდა გადაგვეჭრა იმ სახით, როგორც ეს წარმოდგენილ კანონ-პროექტშია. ჩვენთვის უპირველესი მნიშვნელობა აქვს ძველ მიწადმფლობელობის მოსპობას, რომელიც ხელს უშლიდა სასოფლო მეურნეობის განვითარებას.

აქ ოპონენტებმა არ ილაპარაკეს ჩვენი სასოფლო მეურნეობის შესახებ. მათ მარტო ციტატები მოგვიყვანეს. ჩვენ რომ აგრარული საკითხი ისე გადავწყვიტოთ, როგორც ამას ისინი მოითხოვენ, ეს იქნებოდა დასაბამი ანარქიისა და არევ-დარევისა. საკითხის ნათლად გაშუქებისათვის საჭიროა თვალი გადავავლოთ გლეხთა განთავისუფლების ისტორიას. სწორეთ მაშინ ჩაეყარა საძირკველი აგრარულ არევ-დარევას და მოძრაობაც აქ ღებულობს სათავეს. რა პირობებში მოხდა თფილისის და ქუთაისის გუბერნიებში გლეხთა განთავისუფლება? 1860—61 წლის აღწერილობით თფილისის გუბერნიაში იყო 1751 მებატონე. ამათში 1537 ყმებით და მიწა წყლით, ხოლო 214 უმიწა-წყლო ყმებით. უმეტესი ნაწილი მებატონეებისა იყვნენ წვრილი მიწათ მფლობელები და ეს იწვევდა ყმების გაქცევას და სხვა მებატონეებთან შეკედლებას. აი აქედან წარმოსდგა ხიზნობა. 1864 წელს 13 ოქტომბერს, მოხდა გლეხთა განთავისუფლება. 1335 კომლს ნადელი სულ არ მიუღია, 381 კომლს არ მიუღია ეზო. განთავისუფლებამდე კომლ გლეხზე მოდიოდა 6 დესეტინა მიწა, განთავისუფლების შემდეგ კი 3, 9 დეს. მიწა. გარდა ამისა ერთი ნაწილი გლეხობისა სრულიად უმიწა-წყლოდ იქნა განთავისუფლებული. ასე რომ ბატონყმობის გადავარდნიდან ჩვენში ჩაეყარა საძირკველი უმიწაწყლო გლეხობას. თუ წინათ ყმა იხდიდა მოსავლის $^1/_7$—$^1/_3$ ბატონის სასარგებლოთ, ბატონყმობის გადავარდნის შემდეგ გადიდდა გადასახადი, ხოლო გლეხთა მდგომარეობა სრულიადაც არ გაუმჯობესდა. გლეხი ხშირად მოსავლის ნახევარს იხდიდა მებატონეთა სასარგებლოთ. მიწას გამოყიდვა დამყარებულ იყო მებატონეთა სურვილებზე. რეფორმამ ისეთ მდგომარეობაში ჩააყენა მებატონე, რომ შეუძლებელი იყო მებატონეს მოესურვებინა, რომ გლეხს გამოეყიდა მიწა. არც მებატონე და არც მთავრობა არ უწყობდენ ხელს გამოყიდვას. მებატონეს სრული საშუალება ეძლეოდა ღალის სახით მეტი შემოსავალი ჰქონოდა. მებატონე ღალის საშუალებით იკმაყოფილებდა თავის მოთხოვნილებებს და სრულიად არ სცდილობდა ხელი შეეწყო კულტურულ მეურნეობისთვის ამის დასამტკიცებლად დავიმოწმებ ისეთ პირთ, რომელთაც არაფერი ჰქონდა სოციალიზმთან და პირიქით, მებატონეთა ინტერესების გამომხატველნი იყვნენ. გრაფი ვარანცოვ დაშკოვი თავის მოხსენებაში აღნიშნავს, რომ აგრარულ რეფორმამ გამოიწვია მიწის მოსავლის დაცემაო და რომ მემამულეები სრულიადაც არ ცდილობენ კულტურულ მეურნეობის გაჩაღებასო. ასეთივე აზრია გატარებული თვით თავად-აზნაურთა მოხსენებაშიაც. როგორც ვიცით გლეხთა ნადელებში არ შესულა ტყე და საძოვარი ადგილები. ეს გარემოებაც ძლიერ აფერხებდა მეურნეობის განვითარებას. ამ რიგათ გლეხთა ერთი ნაწილი გაანთავისუფლეს უმიწა-წყლოდ, ხოლო მეორე-ნაწილობრივ იქნა განთავისუფლებული. მხედველობაში უნდა მივიღოთ ისიც, რომ მემამულეებს უფლება ჰქონდათ თავისუფლათ ამოერჩიათ მიწის ნაჭრები. მათ სავსებით ისარგებლეს თავიანთი უფლებებით და საუკეთესო მიწები დაიტოვეს. ყოველივე ეს იყო მიზეზი, რომ დღესაც გლეხი ეწევა მეურნეობას მამა პაპეული წესით და ვერ განვითარდა ჩვენში ინტენსიური კულტურა. 1864 წლის რეფორმამ დიდი უღელი დაადგა კისერზე გლეხობას. და ყოველივე ამის გაუქმება იქნება დიდი ნაბიჯი ეკონომიურ მეურნეობის განვითარებისთვის. აგრარული საკითხის გადაჭრა ისე, როგორც ეს წარმოდგენილ კანონ-პროექტშია არ ეწინააღმდეგება ჩვენ საბოლოო მიზანს. ერთი დებულება სავალდებულოა ჩვენთვის: არ გადაიდგას ისეთი ნაბიჯები, რომელიც ხელს შეუშლის ჩვენი ეკონომიური ცხოვრების განვითარებას. მიწების განსაზოგადოებრივობა კი არ შეუწყობს ხელს კულტურულ მეურნეობის აყვავებას. თუ დღემდე გლეხი შებორკილი იყო განევითარებინა მეურნეობა, მიწების მის ხელში კერძო საკუთრებათ გადასვლა საშუალებას მისცემს გლეხს ისარგებლოს თანამედროვე ტეხნიკით და ააყვავოს მეურნეობა. თქვენ დაინახეთ, თუ რა მოჰყვა მიწის სოციალიზაციის გატარებას რუსეთში, იქ ყველა სოციალისტურმა პარტიებმა მიიღეს დეკრეტი მიწის სოციალიზაციისა, მაგრამ თქვენც კარგათ იცით, რა ბედი ეწვია რუსეთში ამ დეკრეტის გატარებას. იქ, სადაც სათემო მიწად მფლობელობა არის, სადაც უმაღლეს კულტურულ მეურნეობას არ მისდევენ, შესაძლებელი იყო მიწის განსაზოგადოებრივობის განხორციელება, მაგრამ იქ, სადაც უმაღლეს კულტურულ მეურნეობას მისდევენ, მოჰყავთ ჩაი, მანდარინა და სხვა, როგორ გნებავთ ასეთ ქვეყანაში მიწის სოციალიზაციის გატარება? ს. ფედერალისტები ამბობენ, რომ წვრილ კერძო მესაკუთრეებს მიწები მაშინ ჩამოერთმევა, როდესაც ისინი თვით მოისურვებენ კერძო საკუთრების გაუქმებასო. მარა ჩვენ ვიცით, რომ მთავარი ელემენტი სოციალიზაციისა არის მიწის თანასწორი მფლობელობა. მაგრამ, როგორ გინდათ გამოიყენოთ ეს პრინციპი ჩვენში, როცა შეუძლებელი იქნება მიწების პერიოდულად დაყოფა? გლეხს შეუძლიან, მაგ. ვენახი გააშენოს მხოლოდ მაშინ, როდესაც იგი დარწმუნებული იქნება, რომ რამდენიმე ათეულ წლების განმავლობაში მის მიწას ხელს არავინ ახლებს. მიწის კერძო საკუთრებათ მიცემა—ეს გლეხკაცობის საერთო სურვილია და ეს არ ეწინააღმდეგება ჩვენი ქვეყნის ეკონომიურ განვითარებას. ჩვენ ვხედავთ, საერთო სურვილის მიწის კერძო საკუთრებათ მიღებისა და ამაზედ ვთანხმდებით. ჩვენი გლეხი მიუხედავათ იმისა, რომ იგი ებრძოდა მემამულეს და თავის მტრად მიაჩნდა, დღეს მიდის მასთან და მიწას ყიდულობს ჩუმათ. ყოველივე ამას ჩვენ ანგარიში უნდა გაუწიოთ.

მიწების კერძო საკუთრებათ გადაცემით ჩვენში არ მოხდება არავითარი ცვლილება წარმოების წესში. როგორი წესით უნდა გადაეცეს გლეხს მიწა—ფასით თუ უფასოდ? გლეხკაცობას არ გაუჭირდება შეისყიდოს მიწა. აქ ბ. შენგელაია ამტკიცებდა, რომ გლეხობას არ აქვს ფული და მიწები ჩარჩებს ჩაუვარდებათო. ჩვენ რომ მიწა გამოგვეტანა ბაზარზე, მაშინ, რასაკვირველია, მიწა დარჩებოდა მდიდრებს და ეს დიდ დავიდარაბას გამოიწვევდა. ჩვენის აზრით მიწა უმიწაწყლო გლეხებს უნდა მივცეთ და ეს ადვილად განხორციელდება, რადგან მიწაზე არ იქნება საბაზრო ფასი—არამედ შეღავათიან პირობებში დაურიგდებათ გლეხებს. მიწების ასეთი დარიგებით არ თავდება, რასაკვირველია, აგრარული რეფორმა, ჩვენ უნდა ხელი შეუწყოთ მეურნეობის აყვავებას. და აი, როცა თქვენ ამბობთ, მიწა უფასოდ დაურიგდეს გლეხკაცობასო, რომელი წყაროდან გინდათ განახორციელოთ ის ზომები, რომლებიც ხელს შეუწყობს მეურნეობის აყვავებას. გლეხებისათვის მიწის სასყიდლის გაღება მისაღებია, თუ კი ის აძლევს ფულს მემამულეს, მას საწინააღმდეგო არაფერი ექნება, რომ მიწის ფული ხაზინაში შევიდეს. სოც.-რევოლიუციონერები ამბობენ, მიწა მუქთად უნდა დაურიგდეს გლეხობასო. მაგრამ თქვენ პროგრამაში ხომ არის მიწის რენტა. თუ თქვენ ფიქრობთ, რომ რენტა უნდა არსებობდეს მიწაზე, რატომ არ გინდათ, რომ მიწაზე სასყიდელი იყოს, რენტა ხომ იგივე სასყიდელია. თუ თქვენ სოციალიზაციის განხორციელების დროს სამართლიანათ მიგაჩნიათ რენტა მიიღოს საზოგადოებამ, თქვენი ძახილი მიწის მუქთად დარიგება რაღაც გაუგებრობა არის. თქვენ თუ დღეს მუქთად მისცემთ გლეხს მიწას, ხვალ მას არა პირდაპირი გადასახადის სახით აანაზღაურებინებთ იმავე ფასს. რაც შეეხება მიწის ნორმის შემცირებას ან გადიდებას ეს მიუღებელია. ნორმა უცვლელად უნდა დარჩეს. 7 დესეტინა საკმარის საარსებო მოსავალს მისცემს მეურნეს, თუ კი იგი ნორმალურად დაამუშავებს მიწას. ნორმის შემცირება ან მომატება დიდ არევ-დარევას გამოიწვევს....

(გაგრძელება იქნება).

---

მოქალაქენო! შოვინისტებმა ბაქოში სომეხ-მუსულმანთა მშრომელ ხალხს მუსრი გაავლეს. სოციალ-დემოკრატიამ იხსნა ჩვენი ქვეყანა ეროვნული ქლეტისაგან.

ხმა მიეცით სოციალ დემოკრატიის სიას № 1.

# უკანასკნელი ცნობები

**მოკავშირეთა ჯარების მთავარსარდალი მთავრობის თავმჯდომარესთან.**

გენერალმა მილნმა, ინგლისის ჯარების მთავარსარდალმა ამიერკავკასიაში, ინახულა მთავრობის თავმჯდომარე ნოე ჟორდანია.

შეხვედრა მოხდა თავმჯდომარის კაბინეტში, რომელმაც მიმართა გენერალ მილნს შემდეგი სიტყვებით: „საქართველოს მთავრობის სახელით მოგესალმებით პატივცემულო გენერალო და ვამბობ—კეთილი იყოს თქვენი მოსვლა ჩვენს ქვეყანაში.

საქართველოს მთავრობას იმედი აქვს, რომ თქვენ შეადგენთ საქართველოს შესახებ აზრს, რომელიც დაფუძნებული იქნება [illegible] ფაქტებზე და არა ხმებზე. მთავარი, ყველაზე არსებითი ფაქტი მდგომარეობს იმაში, რომ რუსეთის დიდ რევოლიუციის უდიდეს სივრცეზე ქართველი ხალხი აღმოჩნდა ყველაზე შეკავშირებული, ყველაზე დისციპლინიანი და ყველაზე შემძლე, რომ თავი დაეცვა ანარქიისაგან, რომ დაემყარებინა წესრიგი და თავისუფლება თავის ტერიტორიაზე. ჩვენ ძალიან კმაყოფილნი ვართ იმ გარემოებით, რომ გენერალი ფორესტერ-უოკერი, მთავარსარდალი ინგლისის ჯარების კავკასიაში აღმოჩნდა პირველი კაცი, რომელმაც სისწორით გაიგო საქმის მდგომარეობა ჩვენს ქვეყანაში და ჩვენ, მეორეს მხრივ, შეძლება გვქონდა სისწორით და გარკვევით გაგვეგო მისწრაფებანი და სურვილები ინგლისის ნაციისა. ჩვენ იმედი გვაქვს, რომ ეს ურთიერთის გაგება, მომავალში გახდება კეთილ დამოკიდებულობისა ინგლისსა და საქართველოს შორის. ჩვენ ერთხელ კიდევ გესალმებით თქვენ, დიდათ პატივცემულო გენერალო—კეთილი იყოს თქვენი მოსვლა“.

საპასუხოთ გენ. მილნმა შემდეგი სთქვა: „ჩვენ მოვედით აქ, როგორც დიდი და თქვენთან მეგობრული ძალის წარმომადგენელნი. გენერალ უოკერს, ჩვენს სრულუფლებიან წარმომადგენელს, ბოძებული აქვს სრული ავტორიტეტი ყველა თავის გამოსვლებში. იმედია, რომ მან გაგაცნოთ ყველა ის დებულებანი, რომლებიც საფუძვლად დაედება ჩვენს აქ ყოფნას. ჩვენ თქვენთან საერთო მტერი გვყავს—ესენია გერმანელები და ბოლშევიკები. ორივე ეს ძალა ეწინააღმდეგება კანონიერებას და წესრიგს. ვიმეორებ, ჩვენ მოვედით აქ, როგორც მეომრები. სხვა მოტივები ჩვენ არ გვაქვს. ვაცხადებ, რომ ყოველ მხრივად დაგეხმარებით, თქვენ კი თქვენის მხრივ უნდა გააკეთოთ ყველაფერი, რის ძალაც კი შეგწევთ. დროებით ზავის თანახმად გერმანელები უნდა წავიდნენ კავკასიიდან და რაც უფრო მალე წავლენ, მით უფრო ჩქარა საბოლოოდ განმტკიცდება სიმპატიები ინგლისისა საქართველოსადმი. ერთხელ კიდევ მოგესალმებით თქვენ, როგორც საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტს მოკავშირეთა სახელით“.

**ახალციხის მაზრაში.**

ახალციხის მაზრის მცხოვრებლებში საქართველოს საწინააღმდეგო აგიტაციას აწარმოებენ. ხალხს მოუწოდებენ პროვოკატორები საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ.

არტაანის ოლქის ფოცხოვის რაიონიდან, სადაც დღემდე იქ იმყოფება ოსმალთა ცნობილი გენერალი ხალილ-ბეი, ახალციხის მაზრაში შემოიჭრნენ შეიარაღებული „ბანდები“, რომელთა შორის მრავლათ არიან ასკერები, დაახვედნენ ჩვენს სადარაჯო რაზმებს და დაიკავეს რამდენიმე სოფლები. ამ ბანდებს მეთაურობენ ოსმალთა აგენტები და ადგილობრივი ბეგები. ესენი პროვოკაციის და ტერორის საშვალებით მცხოვრებთ აჩხედრებენ საქართველოს რესპუბლიკის წინააღმდეგ.

გუშინ, 22 იანვარს, ახალციხიდან გენ. მაყაშვილისაგან სამხედრო მინისტრმა შემდეგი ცნობა მიიღო: ფოცხოვის რაიონიდან შემოჭრილი „ბანდები“ დამარცხებულ და განდევნილ იქნა. ამ „ბანდებისაგან“ განთავისუფლებული სოფლები საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის მორჩილებას აცხადებენ და ითხოვენ პატიებას. მე მოვთხოვე მათ ნიშნად მორჩილებისა მთელი იარაღის გადმოცემა, რაზედაც მცხოვრებნი დასთანხმდნენ.

ახალციხის მაზრაში მომხდარი ამბების გამო საგარეო საქმეთა სამინისტრომ მიმართა ინგლისის ჯარების მთავარსარდალს და საქმის ვითარება გააცნო, რომ არტაანის ოლქიდან ხალილ-ბეის მეთაურობით საქართველოს ტერიტორიაზე შემოიჭრნენ ოსმალთა ასკერები. ამის საპასუხოთ გენ. მილნმა სთქვა, რომ დაუშვებელია ოსმალეთის მხრით სამხედრო მოქმედება და მიღებული იქნება ენერგიული ზომები, რათა საქართველოს საზღვარი არტაანის ოლქის მიმართულებით დაცულ იქნასო.

—

**ბათუმი. იანვრის 22.** სტამბოლიდან ჩამოვიდა ინგლისელი მთავარ სარდალი გენერალი მილნი, რომელიც მეორე დღესვე თფილისში წავიდა. საგანგებო მატარებლითვე წავიდა თფილისს საქართველოს დელეგაციის თავმჯდომარე თოფურიძე. გამოვიდა შეწყვეტილი გაზეთი „ბათუმსკია ვესტი“ ლ. გერმანის რედაქტორობით. საქალაქო საბჭომ თავისი რუსოფილური და შავრაზმული სიცხოვლე გაანელა. მისმა თავმჯდომარემ მილოცვა ქობულეთში მიტინგიც კი გამართა და ხალხს ერთგულობაში და გულწრფელობაში ეფიცებოდა. განახლებულ სახელმწიფო დაწესებულებებში ქართველების მიღებაც დაიწყო.

ბათუმში ბევრმა სომეხმა მოიყარა თავი.

ბათუმიდან ნატანებში დღეში 2 მატარებელი გადის. ქართულმა ეროვნულმა საბჭომ გადასწყვიტა ქართული გიმნაზიის გახსნა, კომისია ენერგიულათ შეუდგა საქმის განხორციელებას.

# საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის თფილისის კომიტეტი

ამით აუწყებს ამხანაგებს, რომელთაც არ მოუხდიათ პარტიული ვალი და არ შემოუტანიათ საარჩევნო ფონდისათვის დღიური ხელფასი—დაიჩქარონ შემოტანა. ფულის შეტანა შეიძლება, როგორც პარტიულ რაიონებში, აგრეთვე თფილისის კომიტეტის ბიუროში—მდივან **სინაურიძესთან**

**საჭიროების გამო თფილისის კომიტეტი სთხოვს აგრეთვე იმ პირთ, რომელთაც წაღებული აქვთ წიგნაკები ფულის შესაკრებათ ნაწილ-ნაწილ მიუტანონ შეგროვილი ფული თფ. კომ. მდივანს. (4—1)**

ფოთი. იანვრის 22. უკრაინის დირექტორიამ ნოტით მიმართა საბჭოთა მთავრობას და მოსთხოვა 48 საათის განმავლობაში პასუხი შემდეგ კითხვებზე: 1) თანახმაა თუ არა რუსეთის რესპუბლიკის მთავრობა დაუყოვნებლივ შესწყვიტოს საომარი მოქმედება უკრაინის რესპუბლიკის წინააღმდეგ, 2) თუ თანახმა, დაუყოვნებლივ გაყვანილ იქნას უკრაინის ტერიტორიიდან რუსეთის ჯარი, თავის მხრით უკრაინის დირექტორია მზათაა აწარმოვოს საზავო მოლაპარაკება რუსეთის წარმომადგენლებთან და შეუდგეს საქონლის გაცვლას რუსეთთან. თუ აღნიშნულ ვადაში არ იქნა მიღებული პასუხი, უკრაინის რესპუბლიკა ჩასთვლის ამ გარემოებას ოფიციალურათ ომის გამოცხადებათ.

## მოქალაქენო!

**დღეს** 23 იანვარია.

**დღეს** გადის ვადა საარჩევნო სიების შევსება-შესწორებისა.

**დღეს**, საღამოს 9 საათზე, შესწყდება მუშაობა და სიებიც დაიხურება.

**დღეს**, თუ სიაში არა ხართ შეტანილი, თქვენი ხმა საქალაქო არჩევნებში დაკარგულია.

**დღეს** კიდევ დარჩა საკმაო დრო. მიდით და გაიგეთ—ხართ სიაში შეტანილი თუ არა.

**დღეს** უკანასკნელი ვადაა სიების შევსებისა.

**დღეს** გქძლევათ საშუალება არ დაკარგოთ ხმა.

## დამფუძნებელი კრების გარშემო

**არჩევნები და ახალგაზრდა მარქსისტები.**

დამფუძნებელი კრების და საქალაქო არჩევნებისთვის ახალგაზრდა მარქსისტთა ორგანიზაციაც ამოძრავდა. მან მოახდინა მთელი თავის ძალთა მობილიზაცია და ის მის უფროს ამხანაგების განკარგულებას გადასცა. ეს ძალა არც ისე მცირე რიცხოვანია, არც ისე უმნიშვნელოა, რომ მასზე შეჩერება არ ღირდეს, რომ ის ანგარიშ გასაწევი არ იყოს. ამას აშკარათ ღაღადებს მათ მიერ კვირას, 19 იანვარს, მეოთხე რაიონულ კოლექტივის ბინაზე მოწვეული თფილისის ორგანიზაციების წევრთა საზოგადო კრება, სადაც თავი შეიყარა ჩვენი ახალგაზრდობის სამმა ელემენტმა—სტუდენტობამ, მუშებმა და მოწაფეებმა. მათ ჯერ მოისმინეს ამხ. რ. ჩიხლაძის და შ. აბდუშელიშვილის მოხსენება და შემდეგ გამოიმუშავეს არჩევნებში ენერგიულ მონაწილეობის მისაღებათ სხვადასხვა პრაქტიკული ზომები. მათ ჯერ თავიანთ წრიდან გამოყვეს პროვინციებში დასაგზავნათ მარქსისტულ ცოდნით აღჭურვილი ორმოცამდე ახალგაზრდა. ამათში ათამდე მარტო სამეგრელოსთვის, ისეთი პირნი, რომელნიც იცნობენ სამეგრელოს ცხოვრებას და იციან ადგილობრივი ენა. შემდეგ კი, როგორც უფროსმა ამხანაგებმა, მთელი თფილისი დაჰყვეს ცამეტ უბნათ და თვითეულ უბნისთვის აირჩიეს რამდენიმე პირი არჩევნების საწარმოებლათ. ამათ გარდა, მათ სასწრაფო საჭიროების გამო, იმ დღესვე გადასცეს ქალაქის თვითმართველობის განკარგულებაში ოცდა-ათამდე ახალგაზრდა ქალაქის საარჩევნო ბიუროებში სამუშაოდ. როგორც ხედავთ ეს ისეთი ძალაა, რომელსაც დიდი სამსახურის გაწევა შეუძლია ჩვენი დემოკრატიისათვის. ეს ძალა ამომაჩნდა მარტო თფილისის ახალგაზრდა მარქსისტთა ორგანიზაციას. იბადება კითხვა: რას შვრება პროვინცია? ჩვენ ვიცით, რომ ახალგაზრდა მარქსისტთა ორგანიზაციები არა ნაკლებ მუშაობას ეწევიან პროვინციებშიაც და სრული იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ პროვინცია გამოეხმაურება ცენტრს და მთელ თავის ძალებს ჩვენი ხალხის ბრწყინვალე გასამარჯვებლათ აამოქმედებს.

ცენტრი ამოძრავდა. ამით მან უდიდესი სამსახური გაუწია საქართველოს დემოკრატიას. ეხლა ჯერი პერიფერიებზე მიდგა. ჩვენ მოუწოდებთ პერიფერიებში მყოფ ამხანაგებს, მიბაძონ ცენტრს და მთელი მათი ძალები დემოკრატიის სასარგებლოთ აამოძრაონ ამ არჩევნებში.

ხპარტაკი.

## მონარქისტული ორგანიზაციის აღმოჩენა სოხუმში

სამხედრო მინისტრმა სოხუმის ოლქის საგანგებო კომისრის ბ. ჩხიკვიშვილისაგან შემდეგი დეპეშა მიიღო: „სოხუმში მონარქისტების დაჭერისათანავე, მე 16 იანვარს ქალაქში გამოვაქვეყნე შემდეგი ოფიციალური ცნობა: აგენტების მიერ შეკრებილი ცნობებით თვე ნახევრის წინად სოხუმში მოვიდა მონარქისტული ორგანიზაციის აგენტი, მოხალისეთა არმიის პოლკოვნიკი ტურჩანინოვი იმ მიზნით, რომ შეექმნა აფხაზეთში აქტიური მონარქისტული ჯგუფი და აგრეთვე ადგილობრივ ოფიცრების მოსაკრებად, მათ გასაგზავნათ მოხალისეთა არმიის ფრონტზე და სხვ. პოლკ. ტურჩანინოვმა, რომელიც მე მაშინ ამ საქმის გამო დავიბარე, მომცა პატიოსანი სიტყვა, რომ ის ამგვარ ორგანიზაციებში არ ურევია და მოხალისეთა არმიასთან კავშირიც არა აქვს და რომ მოვიდა აქ მხოლოდ საქმისთვის. ჩემ მიერ ის განთავისუფლებულ იქნა მაგრამ მასზე და მასთან მყოფ პირებზე თვალყურის დევნებამ დაამტკიცა ჩემი ეჭვების საფუძვლიანობა. 1919 წლის 9 იანვარს მომხდარი ჩხრეკა და ამ საეჭვო პირებთან აღმოჩენილი დოკუმენტები ამტკიცებენ ამას სისწორით. მათ უპოვნეს მოხალისეთა არმიის ბეჭედი, დამტკიცებულია, რომ მათ დაარსეს აქ აღნიშნული არმიის შტაბის განყოფილება პოლკ. ტურჩანინოვის უფროსობით, რომელიც ნახევრად ძალად ახდენდა რუსის ოფიცრების მობილიზაციას და გზავნიდა მათ მოხალისეთა არმიის ფრონტებზე, დამტკიცებულია აგრეთვე სოხუმში მონარქისტული ცენტრის დაარსება, რომ განეხორციელებინათ რუსეთის კონტრ-რევოლიუციონერების მიზნები, რუსეთში მონარქისტული წესწყობილების აღდგენის შესახებ. ნაპოვნია წერილი, რომელიც დაჭერილის შატილოვის სიტყვით ეკუთვნოდა ლეიხტენბურგის მთავარს სერგეის, სადაც აღნიშნულია გეგმა ერთ ერთი ყოფილი დიდი მთავრის გამოსვლისა ყირიმში და რომ მზადდება მისი მონარქად გამოცხადება. დაკავებულია მოხსენება სადგომში, საიდანაც სჩანს, რომ მონარქისტებს, აპირებდნენ რა გადატრიალების მოხდენას, გადაწყვეტილი ჰქონიათ დაეყენებინათ მთელი რუსეთის, სადაც კავკასიაც იგულისხმებოდა, სათავეში კონსტიტუციონური იმპერატორი და რუსეთის სახელმწიფოს უმაღლესი მართვა-გამგეობა უნდა განსაზღვრულიყო მონარქის უფლებით, მინისტრთა უმაღლესი საბჭოთი და ორი უმაღლესი პალატით სათათბირო ხასიათისა. მომავალი მონარქისტული რუსეთის საზღვრები მათი აზრით უნდა ყოფილიყო 1914 წლის საზღვრები. მათი კონტრ-რევოლიუციონური განზრახვების ობიექტათ იყო აგრეთვე აფხაზეთი. ამ მოსაზრებით და აგრეთვე იმიტომაც, რომ დემოკრატიულ სახელმწიფოში შეუწყნარებელია მოღალატეთა მუშაობა ჩვენთვის მოძმე რუსეთის დემოკრატიის წინააღმდეგ, რომელიც აქამდე იტანჯება ბოლშევიკების ბატონობით ეხლა კი სდგას მომავალი ცარიზმის დამოკლის ხმლის ქვეშ, მე, საგანგებო კომისარმა სოხუმის ოლქისა, დავადგინე: დავაპატიმრო აღნიშნული ტურჩანინოვი და შატილოვი და სამუდამოთ გავდევნო ისინი აფხაზეთის საზღვრებიდან. ის შეკითხვა, თუ რა მიზეზით დავატუსაღე ისინი, რომელიც წარმოშობილიყვნენ ადგილობრივი რუსული ნაციონალური საბჭოს გამგეობის სახელით, რომელიც ხელმოწერილი იყო ცოლ-ქმარ ლუკიანოვების მიერ, მე დავტოვე უპასუხოთ, რადგანაც არავითარ ნაციონალურ საბჭოებს, მათ რიცხვში რუსულსაც, უფლება არა აქვთ თავის მფარველობა გაუწიონ საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე და აგრეთვე აფხაზეთში, კონტრ-რევოლიუციონერებს".

„19 იანვარს შემდეგი განცხადება გამოვაქვეყნე: სოხუმში მონარქისტული ორგანიზაციის აღმოჩენასთან დაკავშირებულ პოლკოვნიკების ტურჩანინოვის და შატილოვის დაპატიმრების გამო ქალაქში გავრცელებულია ხმები, თითქოს რუსის ოფიცრებს, რომელთაც სურთ წასვლა მოხალისეთა არმიაში, ვინმე ხელს უშლიდეს. ამით ვაცხადებ, რომ ეს ხმები ყოველგვარ საფუძველს მოკლებულია და რომ ყველა ოფიცრებს, რომელთაც სურთ წასვლა შეუძლიათ წავიდნენ და ადგილობრივი მთავრობა მათ ამ საქმეში მხოლოდ დაეხმარება".

## კარლ ლიბკნეხტი და როზა ლიუქსემბურგი.

სამოქალაქო ომმა სისხლით შეღება ბერლინის ქუჩები. მრავალ სხვებთან—მან იმსხვერპლა ორი გამოჩენილი სოციალისტი—ლიბკნეხტი და ლიუქსემბურგი.

გული მწუხარებით გევსება, როცა წარმოიდგენ მათ ასეთ ტრაგიკულათ დაღუპვას.

კ. ლიბკნეხტი—შვილია ცნობილ სოციალისტ ვილჰელმ ლიბკნეხტისა, რომლის სახელი ამშვენებს მარქსის, ენგელსის და ბებელის სახელს. ის დაიბადა 1871 წ. პროფესიით იყო ადვოკატი. სოციალდემოკრატიულ პარტიაში მას ეჭირა მარცხენა ფრთა. ის იყო შეურიგებელი ანტიმილიტარისტი. 1907 წ. ასეთი პროპაგანდისთვის გაასამართლეს და წელიწად ნახევარი ციხით დასაჯეს. ის იყო გერმანიის რეიხსტაგის დეპუტატი, როგორც დეპუტატმა, მან სახელი გაითქვა კრუპის ფირმის მოროტმოქმედებათა გამომჟღავნებით. ომის დაწყების წინ ის სამართალში იყო მიცემული მეფის შეურაცხყოფისათვის, უარი სთქვა ამნისტიაზე, რისთვისაც საყვედური გამოუცხადეს. ომის საკითხში ის ჩამოშორდა პარტიის უმრავლესობას და 1914 წ. ხმა მისცა რეიხსტაგში სამხედრო კრედიტის წინააღმდეგ. 1915 წ. ანტიმილიტარისტული პროპაგანდისთვის დაატუსაღეს და ციხის კარები მას გაუღო რევოლიუციამ. რევოლიუციამ გაუღო კარი მეორე სოციალისტს და ახლა მასთან ტრაგიკულათ დაღუპულ როზა ლიუქსემბურგს. რ. ლიუქსემბურგი იყო პოლონელიიდან. დაიბადა 1870 წ. სწავლა მიიღო გერმანიის უნივერსიტეტში დოქტორის უფლების ხარისხით. პარტიაში ეჭირა მარცხენი ფრთა. 1914 წ. ანტიმილიტარისტული პროპაგანდისთვის მიუსაჯეს ერთი წელი ციხე. როზა მხურვალე მონაწილეობას იღებდა რუსეთის ს. დ. პარტიის მუშაობაშიაც. აქ ის ეკუთვნოდა ბოლშევიკების ფრთას, სხვათა შორის მონაწილეობას იღებდა ლონდონის პარტიულ სიეზდზე, სადაც გაათფრთხებული იცავდა ლენინის ტეზისებს...

## საქალაქო არჩევნებისათვის

პარტიული საარჩევნო ბიუროების მისამართები: 1 საარჩევნო ბიურო—ოლღას ქუჩა, № 29, ტელ. 9—52; 2—წიგნის მაღაზია „განათლება" 3—44; 3—ფუკოვის ქუჩა, № 9; 4—სახელოსნო სკოლა (ეგზარხოსის მოედანი); 5—ორთაჭ. კლუბი, ტელ. 13—64; 6 და 7—კახეთის მოედანი № 1, ტელ. 5—98; 8—მეორე კომერციული სასწავლებელი, ფანასკერტის ქ., № 36; 9—ავჭალის მოედანი „კიოსკი", ტელ. 14—791; 10—სახალხო სახლი № 44; 11—ნაძალადევის თეატრი; 12—რკინის გზის სასწავლებელი დიდუბეში, შერემეტევის ქუჩა; 13—საბურთალო, სამკითხველო, ბაღი „რაზსვეტი".

## დეპეშები

(საქართველოს დეპეშათა სააგენტო).

**22 იანვარი.**

**გერმანული პრესის ცნობები.**

ლვოვის გაზეთები იუწყებიან, რომ ტარნოპოლის ოლქში ბრძოლაა პოლონელთა და უკრაინელებს შორის, სადაც მათ ძლიერი ჯარი ჰყავთ მოგროვილი.

იანვრის 13 ბერნში ჩავიდენ გენდერსონი და გიუსმანი და შვეიცარიელ სოციალისტების თანხმობით 27 იანვრისთვის ბერნში დანიშნეს ინტერნაციონალური, სოციალისტური კონგრესი. იმავე დროს იქნება სინდიკალისტების ინტერნაციონალური კრება.

როგორც იუწყებიან, სპარტაკელების მოძრაობის მსხვერპლთა რაოდენობა აღწევს ჯერ-ჯერობით 140.

საყოველთაო გაფიცვა, რომელიც დამოუკიდებელ სოციალისტებმა გამოაცხადეს ლიბკნეხტის და როზა ლიუქსემბურგის მოკვლის გამო და რომელსაც მხოლოდ მუშების მცირე ნაწილი მიემხრო, შაბათს შესწყდა.

სამხედრო საბჭოს წევრს კურცდიგს დაევალა ლიბკნეხტის მკვლელობის გამოძიება. როზა ლიუქსემბურგის საქმის გამოძიება სამხედრო საბჭოს მეორე წევრს დაევალეს.

კვირას, იანვრის 19, ბერლინში სრული სიწყნარე იყო, თუმცა არჩევნებისადმი ინტერესებმა აუარებელ ხალხს მოუყარა თავი ქუჩებში. ხალხი სავსებით წესრიგით სწრაფად დაეწყო და საარჩევნო პუნქტებისკენ გაემართა. ხალხს დილა ადრიანად მთელი საათობით უხდებოდა საარჩევნო პუნქტებთან დგომა. წესიერების დასაცავათ, ყოველ შემთხვევისთვის, ბერლინის ყველა უბნებში დააყენეს ჯარისკაცთა რაზმები. მაგრამ შეიარაღებულ ისინი საჭირო არ გახდენ. მთელი ბერლინი აივსო საარჩევნო მოწოდებებით და პლაკატებით. ქალაქში საარჩევნო კამპანიამ ამერიკული ხასიათი მიიღო. დიდი დემონსტრაციები გაიმართა მხოლოდ დახურულ შენობებში სამხედრო ბრძანებების გამო. მთავრობის ვაგონებს და ქალაქის თვითმართველობის მორთული შენობა მოაგონებდა საყველიერო დღესასწაულს. ჯარისკაცებმა, რომელთაც პირველათ მიეცათ საარჩევნო უფლება, დიდი მონაწილეობა მიიღეს საარჩევნო კამპანიაში; მათ უთანხმოება არსად მოსვლიათ უფროსებთან. საარჩევნო პუნქტებში აშკარა იყო, რომ ქალები აღემატებოდნენ მამაკაცთ. ბოლო დროს გავრცელდა შიში რომ, თუ ეროვნულ ყრილობის შემადგენლობა და მუშაობის შედეგი არ შეეთანხმება ებერტ-შეიდემანის მთავრობის პოლიტიკას, ის შეადგენს თავის პროგრამას ეროვნულ ყრილობის დამოუკიდებლათ. ამის გამო ნახევრათ ოფიციალური გაზეთი „დეიტშე გერმანე ციტუნგ" აცხადებს: ებერტი და შეიდემანი.

მტკიცეთ სდგანან დემოკრატიულ პლატფორმაზე და სურთ, რომ გერმანიის მედი გადაწყვიტოს თვით ხალხმა, რომელიც თავის სურვილს ეროვნულ ყრილობაზე გამოსთქვამს, საქმე აქ პარტიულ საკითხში კი არ არის, არამედ—იგი ეხება მთელი გერმანიის ხალხის ინტერესებს.

ზემო სილეზიაში მომხდარ გაფიცვების დროს სოციალდემოკრატიულ ორგანიზაციამ უარი განაცხადა გაფიცვებში მონაწილეობის მიღებაზე. მოლაპარაკება ორშაბათს გაგრძელდება. მთავრობამ საწარმოთა დაწესებულების ნაციონალიზაციის წინადადება მისცა, რისთვისაც კომისია უნდა აირჩიონ.

**ინგლისის პრესის ცნობები.**

ინგლისის მადაროს მუშების კავშირმა დაადგინა მთავრობას აცნობოს, რომ მათ განზრახული აქვთ 6 საათის სამუშაო დღის შემოღება. თუ მთავრობამ თანხმობა არ განაცხადა, მუშები თვით შეუდგებიან თავის გადაწყვეტილების სისრულეში მოყვანას. კავშირმა აგრეთვე მოითხოვა მადაროების ნაციონალიზაცია. უკანასკნელ კრებაზე ნახევარი მილიონ ხმით, წინააღმდეგ 23,000-ისა, გადაწყვიტეს მოითხოვონ ავანსათ ჯამაგირის 30 პროცენტი და სამხედრო ავანსების გაგრძელება. უმცირესობა ამ მოთხოვნილებებით არ დაკმაყოფილდა.

დროებითი ზავის ვადის გაგრძელებას ხელი მოაწერეს.

მოქალაქენო! ნაციონალისტები მუდამ ომის გაჩაღებას ცდილობენ. მათ ხალხის სისხლი არ ენანებათ. სოციალ-დემოკრატია მშვიდობიანობის მოტრფიალეა. სოციალდემოკრატიამ შესძლო საომრობთან ომის დროზე დამილოცება.

ხმა მიეცით სოციალ-დემოკრატიის სიას № 1.

## ახალი ამბები

ცენტრალურ საარჩევნო კომიტეტში დღემდე შემოვიდა სიები შემდეგი პარტიებისა: 1) სოციალ-დემოკრატების; 2) სოციალისტ-ფედერალისტთა; 3) საქართველოს ეროვნულ დემოკრატების დამოუკიდებელთა პარტიისაგან; 4) საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა მაშვრალთა პარტიისაგან; 5) შოთა რუსთაველის პარტიისაგან; 6) საქართველოს რადიკალ-დემოკრატებისაგან. 7) მუსულმანთა ეროვნულ საბჭოსაგან. 8 სოციალისტ-რევოლიუციონერებისაგან.

◆ **ყუბანში ჩვენი მთავრობის წარმომადგენლათ დაინიშნა ს. მდივანი.**

◆ **გუმბრის სადგურში მუშაობა განაახლა.** საბოლოოდ გამოირკვა, რომ ბრძოლების დროს მოკლულია 60 და დაჭრილა 500 კაცი.

◆ **ქართული თეატრი ხვალ**, 24 იანვარს, სახელმწიფო თეატრში ალ. წუწუნავას რეჟისორობით საუკეთესო ქართველ მომღერალთა მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება ქართულ ენაზე ოპერა „დემონი" რუბინშტეინისა. ოპერა დადგმის ახალი მიზანსცენებით და რთული დეკორაცია-ტანისამოსებით.

◆ **ვალერიან შალიკაშვილის** (ცნობარის დაკრძალვა) ხუთშაბათს, 23 იანვარს სოფ. აკეთში. ქართველ მსახიობთა კავშირმა დაკრძალვაზე დასასწრებლად უკვე გაგზავნა თავისი წარმომადგენელი. ამავე დღეს 2 საათზე კავშირის საბჭოს თაოსნობით გადახდილ იქნება პანაშვიდი ქაშვეთის ეკლესიაში.

◆ **რაჭველ-ლეჩხუმელ ამხანაგების საყურადღებოთ.** დღეს, საღამოს სრულ 5 საათზე, ს. ს. დ. მ. პ. ცენ. კომიტეტის კანცელარიაში (გოლოვინის პრ., 24) დანიშნულია რაჭველ-ლეჩხუმელ ამხანაგების საგანგებო კრება. ფრიად საყურადღებო საკითხების გასარჩევად. სთხოვენ ამხანაგებს აუცილებლათ დაესწრონ.

◆ **თავდაცვის ფონდისთვის.** ამხ. არსენ თოიძის ხელით საზ. „კახეთის" მუშა-მოსამსახურეთა შორის შეგროვილი თავდაცვის ფონდის სასარგებლოთ მიეღეთ 1241 მ. 49 კ.

**კრებები.**

დღეს, საღამოს 5 საათზე ბიუროს ბინაზე შესდგება მე 8, მე-9, მე-10 უბნების საუბნო საარჩევნო კომისიებისა და მეორე რაიონის კოლექტივის წევრთა შეერთებული კრება.

— დღეს, 23 იანვარს, საღამოს 6 საათზე, მეოთხე რაიონის კოლექტივის ახალ ბინაზე დანიშნულია ამავე კოლექტივის მორიგი სხდომა.

— დღეს, 23 იანვარს, საღამოს 5 ნახევარ საათზე, ბიუროს ბინაზე დანიშნულია მე-6 რაიონულ კოლექტივის წევრთა მორიგი სხდომა.

მოქალაქენო! ომიანობის ხანაში თითქმის მთელი ქვეყანა დაიშა. კერძოთ რუსეთში შიმშილმა დიდძალი ხალხი იმსხვერპლა. სოციალ-დემოკრატიამ იხსნა საქართველოს მცხოვრებნი დაშევისაგან.

ხმა მიეცით სოციალ-დემოკრატიის სიას № 1.

## ქალაქის საბჭოში

**20 იანვრის სხდომა.**

თავმჯდომარეობს ალ. ლომთათიძე. თავმჯდომარის წინადადებით საბჭო ფეხზე ადგომით პატივს სცემს გარდაცვალებულ ხმოსან ბერბეროვის ხსოვნას. თავმჯდომარე კითხულობს გამგეობის განცხადებას, რომ იმ უნდობლობის გამო, რომელიც გამოუცხადა საბჭომ ქალაქის გამგეობას, უკანასკნელი ქალაქის თავის მეთაურობით გადამდგარათ აცხადებს თავს.

არხენიძე, სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის სახელით ნდობას უცხადებს გამგეობას და სთხოვს დარჩეს თავის ადგილზე და განაგრძოს მუშაობა.

სოც. რევ. ფრაქცია იმეორებს უნდობლობას გამგეობის მიმართ.

საბჭო ღებულობს სოციალ-დემოკრატიულ ფრაქციის წინადადებას.

თავმჯდომარის წინადადებით ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში არჩეულ იქნა 9 კაცი. სოციალ-დემოკრატიული ფრაქციიდან: კახიანი, მაჭავარიანი, რუსიძე, კავალიძე; რუსულ „სოციალ-დემოკრატის" ჯგუფიდან ბრაილსკი; დაშნაკცებიდან არონიანი და ზარგარიანი და ნაციონალ-დემოკრატებისაგან—გოთუა.

კონიაშვილი კითხულობს მოხსენებას მუშებისათვის სამხედრო შინელების შესახებ. ის აღნიშნავს იმ ხარჯებს, რომელიც უნდა გასწიოს ქალაქმა ამისთვის და მოითხოვს გამგეობის სახელით, რომ გადიდებულ იქნას ტრამვაის ტარიფი და შეშვიდე სამხედრო მინაქტების ანგარიშში მიეცეს მუშებს ავანსი. არხენიძე წინადადებას აძლევს საბჭოს—ეს საკითხი გადაიდოს სანამ ახალი საბჭო შეიკრიბებოდეს. მანამ კი ნება მიეცეს გამგეობას დააკმაყოფილოს ავანსის სახით ის მუშები, რომელნიც აუცილებლად საჭიროებენ დახმარებას.

საბჭომ ეს წინადადება მიიღო. კამათი გამოიწვია მომრიგებელ მოსამართლეთა არჩევამ.

მომხსენებელი კახიანი აღნიშნავს, რომ იმ 22 კაცში, რომლებიც დასახელებულნი იყვნენ წინა სხდომაზე კანდიდატებათ, შეიდმა არ შემოიტანა განცხადება, რომ ისინი საქართველოს რესპუბლიკის ქვეშევრდომნი არიან, მაგრამ ვინაიდან მომრიგებელ მოსამართლეთა ინსტიტუტი თითქმის არ მოქმედობს და იუსტიციის მინისტრმა დაჩქარებით მოგვთხოვა ისინი, ჩვენ დღესვე უნდა ავირჩიოთ დანარჩენი 15 კაცი.

ბროდსკი მოითხოვს გადაიდოს არჩევნები და წინადადებას მისცეს სარეკომენდაციო კომისიას შემდეგ სხდომაზე წარმოადგინოს კანდიდატთა სიები.

ამირაგოვი მოითხოვს ან ყველა 22 კაცი არჩეულ იქნას დღესვე, ან არჩევნები გადაიდოს შემდეგი სხდომისათვის.

ლ. ნათაძე აღნიშნავს, რომ ის 15 კაცი, რომელსაც ჩვენ დღეს ავირჩევთ, შესძლებენ შეუდგნენ მოვალეობის ასრულებას, უბნების დაყოფას და სხვა.

საბჭომ აირჩია შემდეგი პირნი: სარაჯიშვილი მიხეილ, ხიმშიაშვილი ივანე, მაჩაბლიშვილი ალექსი, ტერიევი მიხეილ, ერისთავი სოლომონ, ხალვაშიანი ისაკ, ჩარგვიანი აპოლონ, კიკაშვილი გრიგოლ, სულიევი გრიგოლ, მაჭავარიანი გიორგი, გელოვანშვილი დიმიტრი, დანდუროვი სერგო, ლანდგებენი ალექსანდრე, კაკნაძე არისტოლე და მირიანაშვილი ვესტორი.

ამის შემდეგ საბჭომ გაარჩია სხვადასხვა კითხვები, რომელთა შორის კამათი გამოიწვია გამგეობის მოხსენებამ: უფროს მილიციონერთა შტატის 10 კაცით და უმცროს მილიციონერთა 100 გადიდებამ.

კამათის შემდეგ საბჭომ მიიღო ქალაქის გამგეობის წინადადება.

მუშაობის უქონლობის გამო სხდომა დაიხურა ღამის 11 საათზე.

# სამდგილ-მამულო რეფორმა

**საქართველოს სამინისტროს საყურადღებოთ.**

საადგილ-მამულო კანონის განხორციელება უპირველესი საკითხთაგანია ჩვენში. ამიტომ მთავარი ყურადღების მიქცევაა საჭირო, რომ გატარდეს ცხოვრებაში და მას ვერ აუხვიონ გვერდი მემამულეებმა.

სოფლებში იყო მაგალითები ყიდვა-გაყიდვის არამც თუ დღემდის, არამედ დღესაც არის. მემამულემ იცის, რომ მას ჩამოართმევენ მიწას. თუ კომისიამ ვერ მოასწრო ჩამორთმევა ზედმეტი მიწების ასეთ შემთხვევაში მემამულე ზოგ შეძლებულ გლეხებს სოფლებში უთანხმდება, ფულს ართმევს და ნაყიდობას ძველი რიცხვით უკეთებს. შემდეგ ეს ნაყიდობის ქაღალდი შეაქვს მყიდველს სასამართლოში, ვითომ უჩივოდეს გამომყიდველს (ნამდვილათ კი დამტკიცება უნდა სასამართლოთი), რომ სამი წელია ადგილი მომყიდა და შიგ არ შემიშვაო. თავისთავათ ცხადია, გამყიდველი მის სასარგებლოთ გადააწყვეტიებს სასამართლოს საქმეს. ერთი ასეთი მაგალითი მოხდა სოფ. ჯურუვეთში (ოზურგეთის მაზრა)—მემამულე ნ. გიგინეიშვილმა ამ გვარი ნაყიდობით მიყიდა მიწა ერთი ნაჭერი 3,500 მანეთად ადგილობრივ მცხოვრებს ა. დ—ძეს, რომელიც ეკუთვნოდა საზოგადო ფონდს, რადგან ჩამოსართმევი იყო. ეს გაიგო კომისარმა და გააფრთხილა, რომ ადგილში არ ჩასულიყო. მიუხედავათ ამისა სამ დღეში ა. დ—ძემ სახლი ჩადგა შიგ. ნაყიდობის ქაღალდის მოთხოვის დროს განაცხადა: სასამართლოში მაქვს წარდგენილიო. ცხადია ზემოთ მოყვანილ მოსაზრებით აქვს წარდგენილი სასამართლოში.

ასეთები ბევრი იქნება. ყიდვა გაყიდვა აკრძალულია, მაგრამ სასამართლოს წესით ახერხებენ ამ კანონის გვერდის ახვევას და საჭიროა სასამართლოს წესითაც იქნას აკრძალული მიწის საქმეების გარჩევა, რომ ამით მოესპოს საშუალება მემამულეებს მიწის სხვაზე გადაცემისა.

**ძველი დარაჯი.**

# მუშათა შორის

**თფილისი.** მოხდა მრავალრიცხოვანი კრება სადგურ თფილისის კონდუქტორებისა. კრებას დაესწრო შრომის მინისტრის ამხანაგი ერაძე და წევრი რკინის გზის პროფესიონალურ კავშირისა გძელიძე. გასარჩევი იყო ფრიად საჭირ-ბოროტო საკითხი კონდუქტორებისთვის—დაგვიანება რვა საათის ნორმის გატარებისა ამ დარგში. კრებამ სთხოვა შრომის მინისტრის ამხანაგს განემარტა, თუ რამ გამოიწვია ასე დაგვიანება, რომ რვა საათის მუშაობა შემოღებულიყო. შრომის მინისტრის ამხანაგმა ვრცლად გააცნო კრებას, რომ ამის დაყოვნების მიზეზი იყო ომიანობაო და აღუთქვა, რომ დიდის დაჩქარებით იქნება ცხოვრებაში გატარებული კონდუქტორების მოთხოვნილებაო. მცირე კამათის შემდეგ, იქნა მიღებული შემდეგი რეზოლიუცია. ვიღებთ რა მხედველობაში, რომ—არავითარი დაწესებულება არ დარჩენილა როგორც სამხედრო, ისე კერძო, რომ არ იყოს გატარებული რვა საათის სამუშაო დღე, და მხოლოდ ჩვენ, კონდუქტორები ვართ დავიწყებულნი, იმ დროს, როცა სხვა დაწესებულებებში ზედმეტ შრომისთვის ღებულობენ ზედმეტ სასყიდელს და ჩვენ კონდუქტორებს კი გვამუშავებენ და არავითარი განსაზღვრული დრო არა გვაქვს მუშაობისა, ჩვენ მთელი ამ რევოლიუციის განმავლობაში არც ერთხელ არ გადაგვიდგამს უმართებულო ნაბიჯი ჩვენი დემოკრატიული მთავრობის წინააღმდეგ. ჩვენ არა ერთხელ მივმართეთ ცენტრალურ პროფესიონალურ კავშირს და ვერაფერი გადაჭრილი პასუხი ვერ მივიღეთ. და იმ დროს, როცა ჩვენ ვითმენთ და განუწყვეტლივ ვიყურებით ცის „ტორმოზებზე“ ადმინისტრაცია გვყრის ქუჩაში ერთი საათის დაგვიანებისთვის მიზეზის გამოურკვევლად. ჩვენ დღეს, 13 იანვარს, იძულებული ვართ წერილობით გავაგებინოთ მინისტრთა თავმჯდომარეს და მთელი საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეებს, რომ ჩვენ მეტს ველარ მოვითმენთ, რაც შეიძლება ჩქარა იქნეს გატარებული ცხოვრებაში რვა საათის სამუშაო დღე და დაფასებული იყოს ჩვენი ზედმეტი შრომა.

**დ. შ.**

# სოცალ-დემოკრატ ბერძენთა მოწოდება

სოციალ-დემოკრატიული ჯგუფი ბერძნებისა მოწოდებით მიმართავს ყველა ბერძნებს—დემოკრატებს, რომლებიც საქართველოში ცხოვრობენ: „ამხანაგებო, მშრომელნო! გვეყო ჩვენი ბურჟუაზიის ბატონობა, ბერძენი ბურჟები ისევე გაუმაძღარნი არიან და აწარმოებენ ისეთსავე ექსპლოატაციას, როგორც სხვა ქვეყნის ბურჟუაზია. ისინი იფარებენ პატრიოტულ პირბადეს, რომ უკეთესად გაყვლიფონ. ამხანაგებო! მოაწყვეთ მთელ საქართველოში სოციალ-დემოკრატიული ჯგუფები მსგავსად ქ. თფილისისა, რომ მალე მოვაწყოთ საქართველოს ბერძენ სოციალ-დემოკრატთა ყრილობა, საერთო პროგრამის გამოსამუშავებლად, რომ ბერძენი პროლეტარებიც შევიდნენ ინტერნაციონალის საერთო ოჯახში. შეკავშირდით და შეებრძოლეთ ჩვენს ფსევდო-პატრიოტ კაპიტალისტებს. ახლო მომავალში ჩვენ გამოვცემთ გაზეთს „ემბროსს“ („წინ“) რუსულ ენაზე. ბიურო დროებით მოთავსებულია და ყოველგვარი ცნობების მიღება შეიძლება: ველიამინოვის ქ. ს. № 3. ამხ. პანტ. ბასტიანოვთან“.

# წერილი რედაქციის მიმართ

მ. ხ. ბ. რედაქტორო! თფილისის გაზეთებში გაკვრით იყო მოხსენებული, რომ მედიკო-სანიტარული ბიუროს კონტროლიორი მ. გ. პოლუმორდვინოვი გადაცვლით ქ. თფილისში და 63 ათასი მან. წაურთმევიათ. ვინაიდან ყველა ჩემი ნაცნობები პირადათ და წერილობით მეკითხებიან მე ხომ არა ვარ გაძარცვული, გთხოვთ თქვენს პატივცემულ გაზეთში გამოაცხადოთ, რომ მე არასოდეს არ ვყოფილვარ მედიკო სანიტარული ბიუროს კონტროლიორათ, მაგდენი ფული არასოდეს არა მქონდა და არც არასოდეს ვისმეს გაუძარცვივარ. **იგ. ტიმ. პოლუმორდვინოვი.**

—

ქ. ფოთის საბჭოს მდივანს ბ-ნ ლ. კილურაძეს. თქვენ მიერ გაზეთ „ერთობაში“ (№ 10, 15 იანვარი) ნახსენები 1,150 მ. 50 კ. ქალაქ ლანჩხუთის გამგეობამ მიიღო იხილორე ლომთათიძისაგან და დანიშნულებისამებრ, ორისგან დაზარალებულებს მოახმარა.

ლანჩხუთის ქალაქის თავი **კვიტაშვილი.**

# ჭიათურის საქალაქო არჩევნები

26 იანვარს მოხდება ქ. ჭიათურის თვითმართველობის ხმოსანთა არჩევნები.

სია ხმოსანთ კანდიდატებისა წამოყენებული სოციალდემოკრ. მ. პარტიისაგან, № 1.

1. **მოდებაძე** პლატონ სპირიდონის ძე—ინჟინერი, ქალაქის თავი, ჭიათურის ს.-დ. კომიტეტის წევრი, შორაპ. მაზ. ერობ. ხმოსანი.
2. **ჯაფარიძე** სიმონ დავითის ძე—ექიმი, ქალაქის საბჭოს თავმჯდომარე.
3. **ანთელიძე** გიორგი ანტონის ძე—ჭიათურის უმაღ. პირ. დაწყ. სასწ. ინსპექტორი, ქალაქის ხმოსანი, ჭიათურის მუშ. დეპ. საბჭოს და ს.-დ. კომიტეტის თავმჯდომარე.
4. **გურული** ზაქარია დავითის ძე—სამთომადნო ტეხნიკოსი, ქალ. საბჭ. თავმჯდომარის ამხანაგი, ჭიათურის მუშ. დეპ. საბჭ. წევრი.
5. **ხიხარულიძე** სერაფიონ ანტონის ძე—მემანქანე, ქალაქის ხმოსანი, ჭიათურის მუშ. დეპ. საბჭ. და ს.-დ. კომიტ. თავმჯ. ამხანაგი შორაპნის მაზ. ს. დ. კომიტეტის წევრი.
6. **ხარატიშვილი** ისიდორე დომენტის ძე—მანტიორი, ქალაქის ხმოსანი, ჭიათურის მუშ, დეპ. საბჭ. და ს. დ. კომიტ. მდივანი, შორაპ. მაზ. ს.-დ. კომიტ. წევრი, შრომის სამინისტრ. რწმუნებული.
7. **თოდუა** ევსევი დავითის ძე—მართველი ამქ. საზ. „კავკასიის მარგანეცის“, ქალ. საბ. მდივანი. კოოპერატ. გამგ. თავმჯდომარე.
8. **ჭიჭინაძე** კალისტრატე კონსტანტინეს ძე—ტეხნიკოსი.
9. **ფხალაძე** გრიგორი მიხეილის ძე—ქალაქის ხმოსანი, ჭიათურის მუშ. დეპ. საბჭოს და ს. დ. კომიტეტის წევრი.
10. **გალუსტოვი** მიხეილ ზაქარიას ძე—ქალაქის ხმოსანი, ვაჭარი.
11. **თევზაძე** ივანე ლაზარეს ძე—მართველი სვანიშვილის ფირმისა, კოოპერატ. კავშირის გამგეობის თავმჯდომარე.
12. **წერეთელი** ივანე კონსტანტინეს ძე—მასწავლებელი, ქალაქის ხმოსანი.
13. **პეტრიაშვილი** იოკიმე ბესარიონის ძე—ხარატი, ჭიათურის მუშ. დეპ. საბჭ. აღმასრ. კომიტეტის წევრი და ხაზინადარი.
14. **კალანდაძე** თეოფილე ანთიმოსის ძე—ჭიათურის უმაღ. პირ. დაწყ. სასწ. მასწავლებელი, ს.-დ. კომიტეტის წევრი.
15. **ფალავა** სამსონ დავითის ძე—ნოქარი გელზენკირხენის საზოგადოებისა, ჭიათურის მ. დეპ. საბჭოს და ს.-დ. კომიტეტის წევრი.
16. **კაციტაძე** სიმონ ლავრენტის ძე—ფერშალი, ჭიათურის შ. საბჭოს კავშირის გამგეობის თავმჯდომარე.
17. **მელიქოვი** ბიქტორ ბეჟანის ძე—ქალ. ხმოსანი, კოოპ. კავშ. გამგეობის წევრი.
18. **ხაბულიანი** ალექსანდრე იოსების ძე—შავი ქვის მრეწველი.
19. **ბერძენიშვილი** ილია ანტონის ძე—რკინის გზის მოსამსახურე, ჭიათურის მუშ. დეპ. საბჭ და ს. დ. კომიტეტის წევრი.
20. **დარჩია** შალვა იესეს ძე—ვაჭარი.

# განცხადებანი

**ექიმი ნიკოლოზ ივანეს ძე**

## მახვილაძე

იღებს სპეციალურად—მალარიით (ციება) და მისი შედეგებით დასნეულებულთ, ხიხნდის ნაკლებობით, გულისა, ფილტვისა, ქარებით და სხვა შინაგან სნეულებით ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოთი 4—6 საათამდე. ელექტრიზაცია. მისამართი: მოსკოვის ქ. № 11, ზემელის აფთიაქის ახლოს.

---

**კბილის ხაექიმო კაბინეთები**

**თედორე ხაჯმარილის ძე ცხომელიძისა**

ავადმყოფები მიიღება ყოველდღე დილის 9—2 საათამდე და საღამოს 5—6 საათამდე, გარდა კვირა დღეებისა. მისამართი: კალოუბნის ქუჩა (ყოფილი ბარონის), სახელმწიფო ბანკის პირდაპირ, ტელეფონი 13—35.

---

**ექიმი მ. ა. შაფრანი.**

სპეციალურად სიფილისი და მისი შედეგები (შეშხაპუნება 606 და 914), ვენერიული (ტრიპერი) და საშარდე ორგანოების სნეულებანი. ავათმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 8—11 და საღამოს 5—8 საათამდე. ქალების საღამოს 4—5 საათამდე. კვირაობით მხოლოდ დილით. მისამ: ოლღას ქ. № 33.

---

**ექიმი დ. ი. ჯაფარიძე**

მიიღებს შინაგანის, შარდის, ქალის და ბავშვის სნეულებით ავადმყოფებს დილის 12—$1\frac{1}{2}$ საათამდე, საღამოს 5—6 ს. მადათოვის ქუჩა № 7. ალექსანდროვის ბაღის პირდაპირ. ტელეფონი 16—65.

---

**გაიხსნა თვალის საავადმყოფო**

(მუდმივი საწოლებით)

## ექიმი დონხინისა

ყოფილი ასისტენტი უნივერსიტ. თვალ. კლინიკისა ვენაში და პარიზში. ავათმყოფების მიღება ყოველ დღე 9 საათიდან 1 საათამდე და 4—7 ნახევარ საათამდე. მიხეილის პროსპექტი № 141 (კინემატოგრაფ „აპოლოს“ ახლო) მძიმე ავათმყოფები და საოპერაციები მიიღებიან სრულ პანსიონში. ტელეფ. 5—96.

---

**ექიმი**

## კეკელია

იღებს ვენერიულ სნეულებიან ავათმყოფთ (914, 606 შეშხაპუნება) მიღება დილის 10—11 ს. საღამოს 4—6 საათ. მისამართი: მიხეილის პრ. № 116 სასტუმრო „ნოეს“ პირდაპირ. ტელ. 14—23.

---

**ექიმი**

## ა. ნ. შატილოვი

იღებს თვალის სნეულებიან ავათმყოფთ საღამოს 4—6 საათ. სემიონოვის ქუჩა, სახ. № 4 (ვორონცოვის ხიდის ახლო).

---

**რენტგენის და ელექტრ. სამკურნ. კაბინეთი მედიცინის დოქტორის**

## გ. მერაბოვისა

(რენტგენოლოგი ყ. ასისტენტი ბერლინის და მოსკოვის უნივერსიტეტების კლინიკებისა. მიიღებს შინაგან და ნერვიულ ავადმყოფებს. სპეციალურად ფილტვების, ჭლექის ავადმყოფობა (ტუბერკულიოზი), გულისა, კუჭისა და ღვიძლისა. მალარიის წამლობა. რენტგენოგრაფია ჩაწერით. დაჭრილებს რიგს გარეშე იღებენ. ბებუთოვის ქუჩა, № 23, ტელეფ. 7—92, ყოველ დღე დილის 9—1 საათამდე და საღამოს 5—8 საათამდე.

**საწყლებს უფასოდ.**

---

**ექიმი**

## დ. ვ. ჯავახიშვილი

ღებს ბავშვთა და შინაგან სნეულებიან ავათმყოფთ ყოველ დღე საღ. 4—6 საათამდე. ბინა ვერა, გუნიბის ქ., № 41, ტელ. № 14—60.

---

## საჭიროა

მცოდნე საქმის მწარმოებელი მცოდნე

პირობების გაგება შეიძლება მე-2 საარტილერიო ბრიგადის მე-4 ბატარეიაში (საბურთალო) (2—1)

---

## იყიდება

საჩქაროთ სრული მოწყობილობით

**საწვრიმალო სავაჭრო და საკონდიტერო**

(შეიძლება უსაქონლოდ). მაღაზიასთან არის ბინაც. პირობების გაგება შეიძლება: დიდუბე, ანდრეევის ქ. № 108 საკონდიტერო დილის 8—4 საათამდე.

---

## საჭიროა ფეიერვერკერი

ორი გამოცდილი ჯამაგირით; პირობების გაგება შეიძლება მე 2 საარტილერიო ბრიგადის მე-4 ბატარეის კანცელარიაში, საბურთალო. (2—1)

# თფილისის ქალაქის გამგეობისაგან

**საბჭოს არჩევნებისათვის.**

თფილისის ქალაქის გამგეობა საყოველთაოდ აცხადებს საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეთა საყურადღებოთ, რომელნიც სცხოვრობენ თფილისში, ან აქვთ აქ შინაური მოწყობილება, ან დაკავშირებულნი არიან ქალაქთან რაიმე განსაზღვრული საქმით, რომ თფილისის ქალაქის საბჭოს ხმოსანთა ამომრჩეველთა სიები უკვე შედგენილია და საყოველთაოდ განსახილველად წარდგენილი იქნებიან მიმდინარე იანვრის 19, 20, 21, 22 და 23 ს დილის 9 საათიდან—საღამოს 9 საათამდე შემდეგ ადგილებში:

| | | | |
|---|---|---|---|
| 1 | საარჩევნო უბ. | | ქალაქის პირველ დაწყებითი სასწავლებელი, ოლღას ქუჩა, 52, სა ..ლი მაჩაბლისა. |
| 2 | „ | „ | პირველი ვაჟთა გიმნაზია, გოლოვინის პრ. როზენის ქ. |
| 3 | „ | „ | მესამე ქალთა გიმნაზია, ბებუთოვის ქუჩა; |
| 4 | „ | „ | მანტაშევის ქარვასლა, სომხის ბაზარი № 62; |
| 5 | „ | „ | პუშკინის ქალაქის სასწავლებელი, ვარანცოვის ქუჩა; |
| 6 | „ | „ | ნადიკვრის თავშესაფარი; |
| 7 | „ | „ | ავლაბრის კლუბი, ზამთრის შენობა ავლაბრის კლუბ. |
| 8 | „ | „ | პირველი საკომერციო სასწავლებელი; |
| 9 | „ | „ | ქალაქის სასწავლებელი პეტრე დიდის სახელითა, ჩერქეზიშვილის ქუჩა 29. |
| 10 | „ | „ | სახალხო სახლი ზუბალაშვილებისა; |
| 11 | „ | „ | ნაძალადევას თეატრი, ჩერქეზიშვილის ქუჩა, |
| 12 | „ | „ | რკინის გზის სასწავლებელი, |
| 13 | „ | „ | საბურთალოს კომისარიატი, |

მოქალაქეთ, რომელნიც მოისურვებენ გაიგონ არიან თუ არა შეტანილნი საარჩევნო სიაში, უნდა მიმართონ ზემოთ ნაჩვენებ ადგილებში, სადაც იქნებიან განსაკუთრებულნი პირნი სიების ნაკლულობის და უსრულობის შესახებ განცხადებებით და საჩივრებით. განცხადებები და საჩივრები შეიძლება, როგორც წერილობით, ისე სიტყვიერად; განცხადებებს და საჩივრებს უნდა ახლდეთ საბუთის ქაღალდები საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეობის დამამტკიცებელი (პასპორტი, მეტრიკა, ნამსახურობის სია თავისი ან მამისა) ქართველები არ არიან ვალდებულნი წარმოადგინონ ზემოთ ჩამოთვლილი დოკუმენტები, გარდა მეტრიკისა იმ შემთხვევაში, როცა მომჩივარნი გარეგნის შეხედულობით 20 წლისაზე ნაკლებნი არიან.

ყველა განცხადებებს და საჩივრებს ქალაქის გამგეობა განიხილავს 24 და 25 იანვარს. თუ ამ ორი დღის განმავლობაში მომჩივანთ არ მიუვათ ქალაქის გამგეობისაგან პასუხი საჩივრისა, ან მიუვათ უარი, მათ აქვთ უფლება ორი დღის განმავლობაში, ე. ი. 26 და 27 ამა იანვარს შეიტანონ საჩივარი საოლქო სასამართლოს ადმინისტრატიულ განყოფილებაში, რომელიც ვალდებულია ორი დღის განმავლობაშივე, ე. ი. 28 და 29 იანვარს განიხილოს ყველა სასამართლოში შესული საჩივრები.

რესპუბლიკის მოქალაქენო, იცოდეთ, რომ, ვინც სიაში არ იქნება შეტანილი, მას ხმის უფლება არა აქვს არჩევნებში მონაწილეობის მიღებისა. ეცადეთ ისარგებლოთ კანონიერი ვადით და განაცხადეთ საოლქო ბიუროებში გამოტოვებას და სიების ნაკლულევანების შესახებ, რომ შეტანილი იქნეთ სიებში და არ დაკარგოთ ხმა.

მოქალაქენო! საქართველოს პარლამენტის დადგენილებით საქართველოს დამფუძნებელი კრების არჩევნები უნდა მოხდეს 14—16 თებერვალს. დამფუძნებელ კრების არჩევნები თფილისში მოხდება ამომრჩეველთა იმავე სიებით, რომლებითაც უნდა მოხდეს ქალაქის ხმოსნების არჩევნები. ახალი საარჩევნო სიები დამფუძნებელ კრებისათვის არ შესდგება. საქალაქო არჩევნებისათვის ამომრჩეველთა სიები სდგება და ამ სიებით უნდა მოხდეს ორი ფრიად მნიშვნელოვანი არჩევნები: ქალაქის საბჭოსი და დამფუძნებელის კრებისა. ვინც სიებში არ იქნება შეტანილი, მას არა აქვს უფლება მიიღოს მონაწილეობა არცერთს ამ არჩევნებში.

**მოქალაქენო!** შეასრულეთ თქვენი მოვალეობა და ვინც გამოტოვებულია სიებში, ეცადეთ შეიტანოთ განცხადება საოლქო ბიუროში, რომ დამატებით ჩაგწერონ და ხმა არ დაკარგოთ.

---

## სახელმწიფო თეატრი

**ოპერა**

ს. ი. ევლახიშვილის დირექცია.

პარასკევს, 24 იანვარს, სპექტაკლი ჰქონდა.

**პირველად ქართულ ენაზე**

## დემონი

მონაწილეობას მიიღებენ: შულგინა, ხარინა, სარაჯიშვილი, ინაშვილი, ისეცკი, დემიანენკო, კურბატოვი. დასაწყისი საღ. 7 საათ.

შაბათს 25 იანვარს **ბალეტის** ბენეფისი I. ბალეტი დიდი დივერტისმენტით II. სოფლის დარისება III ვოლშებნაია ფლეიტა.

---

## სახელმწიფო თეატრი „კავშირი“-ს დასი.

| წარ. № 14 | ხუთშაბათს, 23 იანვარს | წარ. № 14 |
|---|---|---|

„კავშირი“-ს დასის მიერ წარმოდგენილი იქნება მეშვიდეთ ი. გედევანიშვილის ზღაპარი ფეერია 1 ნაწ: 3 მოქმ. და 7 სურ.

## სინათლე

ბალეტი ბ. ვაკარეცის ხელმძღვანელობით ხორო და ორკესტრი. ბილეთები იყიდება თეატრის კასაში.

რეჟისორი შალვა დადიანი. დასაწყისი საღამოს 7 საათზე.

წარმომადგენელი ა. გაჩეჩილაძე. მსახიობთა კავშირის დირექცია.

მზადდება: დიდი ამბავი ტყუილ უბრალოდ, **სინათლე** მეორე ნაწილი.

---

საქ სოც.-დემ. მ. პ. თფილისის კომიტეტის ქ. თფილისის საარჩევნო

## ცენტრალური ბიურო

მოთავსებულია თფილისის კომიტეტის ბინაზე, გოლოვინის პროსპ. № 24, სახლი არამეანცისა. ღიაა ყოველ დღე განუწყვეტლივ დილის 10 საათიდან საღამოს 8 საათამდე. ბიურო იძლევა ყოველგვარ საჭირო ცნობებს.

---

## სამასწავლებლო კურსები

გორის სამაზრო ერობის ინიციატივით და მის ხარჯზე ქ. გორის საოსტატო სემინარიაში იხსნება სამასწავლებლო მოსამზადებელი კურსები თებერვლიდან, სადაც სწავლა გაგრძელდება 5—6 თვეს. კურსებზე მიიღებიან ორივე სქესისა ყველა, ვისაც აქვს გათავებული არა ნაკლები ოთხი კლასისა. სწავლა უფასოა. მსმენელებს მიეცემათ აგრეთვე უფასოდ ბინა გათბობით და განათებით. თხოვნები უნდა გამოიგზავნოს გორის სამაზრო ერობის გამგეობაში. (7—6)

**დია ჩიანელი**

## „შემოდგომის ცრემლები“

დაიბეჭდა და იყიდება ყველა წიგნის მაღაზიებში, საწყობი-ქუთაისში „სოც.-დემ.“ რედაქციაში ტიტიკო გვარამიასთან,—ფასი 6 მან. (5—2)

---

20 იანვრიდან იხსნება

## ქართული საბავშვო ბაღი

გამოცდილ პედაგოგების ხელმძღვანელობით. შემოღებული იქნება სწავლა ფრანგული ენისაც. მიიღება ბავშვები 5—8 წლამდის. მისამართი: მიხეილის ქ. 107, ყოველდღე შუადღის 12—2 ს. (7—6)